ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

ხუთშაბათი,
17 მაისი,
1990 წ.
№ 53 (11539)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის შესახებ

15 მაისს თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ყრილობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ. მან განაცხადა, რომ არჩეულია ყრილობის 728 დელეგატი. ესწრება 699, საპატიო მიზეზით არ ესწრება 29 დელეგატი.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი, მასში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ.
2. საქართველოს კომპარტიის სტატუსი.
3. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში
4. არჩევნები:
ა) საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა;
ბ) სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებისა.

მტკიცდება ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

ცხადდება თბილისის, ქუთაისის, გორის, რესპუბლიკის მრავალი სხვა ქალაქისა და რაიონის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელ და ცალკეულ დელეგატთა წინადადება, მოისმინონ მოხსენება დღის წესრიგის პირველ ორ საკითხზე და მის გამო აზრთა გაზიარების შემდეგ შეიმუშაონ ყრილობის პოზიცია საქართველოს კომპარტიის სტატუსთან დაკავშირებით, აირჩიონ სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები. მერე დროებით შეწყვიტონ ყრილობის მუშაობა და განაახლონ იგი კომუნისტთა საკავშირო ფორუმის დამთავრების შემდეგ. ხოლო შუალედში, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნება, ნავარაუდევია პარტიულ პრესაში გამოქვეყნდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულების ძირითად დებულებათა პროექტი, მოეწყოს მისი ფართო განხილვა პირველადს, რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში. გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მიზნით ყრილობის სარედაქციო კომისია შეძლებდა განეგრძო მუშაობა ამ დოკუმენტებზე.

გამოითქვა, აგრეთვე, წინადადება, ყრილობაზე მისი დელეგატებისაგან შეიქმნას საქართველოს კომპარტიის არჩევითი ორგანოების შემადგენლობის, საქართველოს კომპარტიის საარჩევნო პლატფორმის, რეზოლუციისა და ყრილობის სხვა დოკუმენტების მომზადების შესახებ წინადადებათა შემმუშავებელი კომისიები.

მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ და საქართველოს კომპარტიის სტატუსის საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის მისამართით შემოსულ კითხვებს უპასუხა ამ კომისიის თავმჯდომარემ ზ. ნ. გენძეხაძემ.

შემდეგ დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის წინადადებით, რომელმაც ალტერნატიულ საფუძველზე განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატობის კანდიდატთა შემადგენლობა, ყრილობა შეუდგა დელეგატების არჩევას.

16 მაისს ყრილობამ მუშაობა განაგრძო.

(საქინფორმი).

## წინ, კავკასიონისაკენ!

**საქართველოს მთავრობას**
**საქართველოს კულტურის სამინისტროს**
**საქართველოს განათლების სამინისტროს**
**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს**
**საქართველოს შემოქმედებით გაერთიანებებს**
**საქართველოს სპორტკომიტეტს**
**ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს**

კავკასიელ ხალხთა სულიერი დაახლოება და გაერთიანება მათი გადარჩენის ერთადერთი გზაა. ჩვენი ერთიანობა უნდა დავუპირისპიროთ „გათიშე და იბატონე"-ს იმ იმპერიულ პოლიტიკას, მუდამ გამორჩეული სისასტიკითა და სივერაგით რომ ვლინდებოდა კავკასიის, როგორც გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეგიონის მიმართ. დღეს ეს პოლიტიკა უაღრესად საშიშ სახეს იღებს, მიზნად ისახავს რა ნაციონალურ-რელიგიური ომის კერად აქციოს მთელი კავკასია.

კავკასიელ ხალხთა ურთიერთგაუცხოება, გაუცხოება საკუთარი ისტორიისა და საერთო-კავკასიური ცივილიზაციისაგან, სადაც არეკლილია კავკასიელ ხალხთა სულიერ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ღრმა ძირები, მასების დაბალი განათლება, არის ის საფუძველი, რომელზედაც რეაქციული ძალები აგებენ თავიანთ გამთიშველ, სისხლიან პოლიტიკას.

ძველი კავკასიელები, მიუხედავად იმისა, რომ ცასშეკიდებული მწვერვალებითა და ძნელადსავალი გზებით იყვნენ დაშორებული ერთმანეთს, გაცილებით უკეთ იცნობდნენ, უფრო მეტად აფასებდნენ ერთურთს, ვიდრე ჩვენ, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილნი მათი შთამომავალნი, სამართლიანად რომ ვესწრაფვით ძლიერ და შორეულ სახელმწიფოებთან დაახლოებას, მაგრამ ჩვენი უახლოესი, ჩვენსავით დაჩაგრული მეზობლები კი ხშირად გვავიწყდება.

კავკასიელ ხალხთა დაახლოება და გაერთიანება კეთილშობილური და ამაღლებული იდეის ირგვლივ: „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი!" — სულიერი, ისტორიული, ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური აუცილებლობაა!

ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე უპირველეს ამოცანად გვესახება კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკურ ღონისძიებათა ფართოდ გაშლა.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მინისტრთა საბჭოს, დაუყოვნებლივ შეუდგეს კავკასიის ეკონომიკური ბაზრის კონცეფციის შემუშავებას.

მოვუწოდებთ საქართველოს ყველა უწყებას და ორგანიზაციას, დაამყაროს პირდაპირი და უშუალო ურთიერთკავშირები კავკასიის შესაბამის უწყებებთან; მოხდეს ამ ურთიერთკავშირების მაქსიმალური სტიმულირება.

აუცილებელია მოხდეს საქართველოს ეკონომიკის განხილვა როგორც კავკასიის ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილისა: მოიძებნოს ამ სისტემის შიგნით საქონლის ექვივალენტური გაცვლის კონკრეტული გზები, როგორც საქართველოს ეკონომიკური ბლოკადის თავიდან აცილების ერთადერთი რეალური გარანტია.

აუცილებელია არსებობდეს პირდაპირი სარკინიგზო და საჰაერო ხაზები: თბილისსა და ჩრდილო კავკასიის დედაქალაქებს შორის. ასეთი ხაზების არარსებობა ხელოვნურად სწყვეტს ამიერ და იმიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს ერთმანეთისაგან.

აუცილებელია:

კავკასიის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის; კავკასიოლოგიის ფაკულტეტის შექმნა; მუდმივმოქმედი საერთო-კავკასიური სემინარის ორგანიზება, ტელევიზიითა და რადიოთი რეგულარული გადაცემების მოწყობა კავკასიის ხალხთა ისტორიის, კულტურის, ფოლკლორის, სარწმუნოების, ზნეჩვეულებების, ადათ-წესებისა და ლიტერატურის შესახებ, გაცვლითი ტელეგადაცემების, ეკოლოგიური და სხვა სახის გაცვლითი ტელეინფორმაციების დანერგვა, კავკასიელ ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეკოლოგიური სინამდვილის ამსახველი დოკუმენტური ფილმების რეგულარული ჩვენება ტელევიზიის საშუალებით და კინოთეატრებში კინოჟურნალების სახით, კავკასიელ ხალხთა ხალხური შემოქმედების გამოფენათა ორგანიზება. თანამედროვე კავკასიელ მხატვართა გამოფენების მოწყობა, მათი ალბომების გაყიდვა-გავრცელება კავკასიის მასშტაბით; მუსიკალური, ლიტერატურული, ფოლკლორული საღამოები კავკასიელ ხელოვანთა მონაწილეობით, ბავშვთა ანსამბლების გაცვლითი გასტროლები, ექსკურსიები კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში, ბავშვთა ტურიზმი კავკასიის მასშტაბით, სკოლების დამეგობრება, საერთო-კავკასიური სპორტული ღონისძიებების მოწყობა, კავკასიის პრიზის შემოღება, კავკასიური სპორტის სახეობათა აღორძინება (ამის შესახებ უკვე გამოქვეყნდა ზ. კასრელიშვილის შესანიშნავი წინადადება).

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა და პარტია საგანგებოდ მოუწოდებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მესვეურებს, პრესის მუშაკებს, გამოიჩინონ უდიდესი ტაქტი და სიფხიზლე და არ დაუშვან ისეთ მასალათა გამოქვეყნება, რომელთაც შეუძლიათ შელახონ რომელიმე ხალხის ეროვნული ღირსება და რელიგიური გრძნობები, დათესონ ეჭვი და უნდობლობა კავკასიელ ხალხთა შორის. ყოველი ასეთი ლაფსუსი დღეს განსაკუთრებით საშიშია, რადგან ჩვენი გამთიშველი ძალების წისქვილზე ასხამს წყალს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ნაციონალური სიძულვილისა და მტრობის გასაღვივებლად.

ყველა უწყებას, საწარმოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კავკასიელ ხალხთა დაახლოების, კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა აღდგენა-განმტკიცების საქმეში. დღეს ამ შესაძლებლობის არგამოყენება უსაზღვროდ დააგვიანებს ჩვენი საერთო მიზნის აღსრულებას; საქართველო და კავკასია განუყოფელია.

მიმართვის გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა და პარტია მოაწყობს იმ დაწყებითი ღონისძიებების განხილვას, რასაც განახორციელებენ მიმართვის ადრესატები, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები და ინსტანციები.

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობა**
**საქართველოს მწვანეთა პარტია**

## იტალია—90

## სპორტპროგნოზი

მე-7-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკური პლურალიზმი: ავსტრიული ვარიანტი

**ავსტრიული ბანკის „ცენტრალშპარკასსე უნდ კომერციალ"-ის — მიწვევით, საბანკო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის გამოცდილების შესწავლის მიზნით, ვენაში ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა ჩვენი ეკონომიკური მიმომხილველი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მერაბ კაკულია. ექვსი თვის განმავლობაში მას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ალპიური რესპუბლიკის საკრედიტო სისტემას, სახელმწიფო და კერძო ფირმების კომერციულ საქმიანობას, მონაწილეობა მიეღო მენეჯმენტის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სემინარებში. დღეს გთავაზობთ მის ავსტრიულ შთაბეჭდილებას.**

სუვერენული საქართველოს ოპტიმალური სამეურნეო მოდელის შექმნა უცილობლად საჭიროებს იმ ქვეყნების გამოცდილების ყოველმხრივ შესწავლას, რომლებიც დინამიური ეკონომიკითა და ცხოვრების მაღალი დონით გამოირჩევიან. მათ რიცხვს განეკუთვნება ავსტრიის რესპუბლიკაც. ევროპის ამ პატარა ქვეყანამ, ფართობითა და მოსახლეობის რაოდენობით ბევრად რომ არ აღემატება ჩვენს საქართველოს, ბოლო წლებში თვალსაჩინო ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწია. თავად განსაჯეთ: ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპმა 1988 წელს 4,2 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს საშუალო ევროპულ მაჩვენებელს; უმუშევრობა ავსტრიის შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 3,75 პროცენტს მოიცავს, მაშინ როდესაც საშუალოდ ევროპაში 10,2 პროცენტია; ინფლაციის დონე 1,5-2 პროცენტამდე მერყეობს და ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში.

ალპიური რესპუბლიკის სამეურნეო წინსვლა განპირობებულია უწინარეს ყოვლისა ქვეყნის ეკონომიკის დემოკრატიული სტრუქტურით, რომელიც წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებას ეფუძნება. ეროვნული მეურნეობა სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება. ესენია სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო სექტორები. არც ერთ მათგანს არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია, არც მათი ფუნქციონირების სფეროებია მკაცრად გამიჯნული. სახელმწიფოს ფართო ეკონომიკური უფლებამოსილება კი არ ზღუდავს ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებს.

ავსტრიის ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი ერთ-ერთი უდიდესია დასავლეთ ევროპაში. მას საფუძველი ჩაეყარა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. თანახმად 1946 წლის ნაციონალიზაციის აქტისა, ავსტრიის რესპუბლიკა 70-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო კომპანიისა და სამი ყველაზე დიდი საკრედიტო დაწესებულების მფლობელი გახდა. ნაციონალიზაციის პირველმა ტალღამ მოიცვა მძიმე ინდუსტრიის თითქმის ყველა დარგი. მათ შორის მეტალურგია და მანქანათმშენებლობა; ელექტრონიკა და ქიმიური ინდუსტრია, გემთმშენებლობა და სათბობის მრეწველობა.

წამყვან სამრეწველო საწარმოთა და ბანკების სახელმწიფოს ხელში გადაცემა ხელისუფლების სათავეში მოსული სოციალისტების იდეოლოგიური კაპრიზი როდი იყო.. ავსტრიის ეკონომიკაში დომინირდება ე. წ. „გერმანული საკუთრება", რომლის შენარჩუნება მომავალში საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს. გარდა ამისა, საჭირო იყო მოშლილი ეკონომიკის აღდგენა და მისი სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა. ერთი სიტყვით, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის შექმნა იმხანად პროგრესული მოვლენა იყო.

თავდაპირველად ნაციონალიზებული მეურნეობის გაძღოლა ცალკეულ სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებს დაევალათ. 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანის დასაწყისში ავსტრიელმა სოციალისტებმა სცადეს ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს ჯგუფურ საკუთრებაში გადაცემა მათში დასაქმებული პერსონალისათვის, მაგრამ ამ ექსპერიმენტს წარმატება არ მოჰყოლია. 1967 წელს შეიქმნა ავსტრიის ინდუსტრიული კომპანია, შემოკლებით „ოიაგე", რომელსაც დაექვემდებარა სახელმწიფო სექტორის სამრეწველო საწარმოთა უმეტესობა. მოგვიანებით კომპანია სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, ავსტრიის რესპუბლიკა ჯერჯერობით მისი ერთადერთი აქციონერია.

80-იანი წლების მეორე ნახევრამდე „ოიაგე" ორიარუსიან მმართველობით სტრუქტურას წარმოადგენდა. იგი შედგებოდა 8 მსხვილი კონცერნისაგან, რომლებიც ერთი და იგივე ან მომიჯნავე პროფილის ათობით წვრილი და საშუალო ზომის საწარმოს გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდნენ. თითოეულმა მათგანმა მიიღო სააქციო საზოგადოების სტატუსი და შესაბამისი ავტონომია. ფუნქციონირების პრინციპების მიხედვით „ოიაგე"-ში შემავალ კონცერნები ბევრად არ განსხვავდებოდნენ კერძო ფირმებისაგან: ისინი ორიენტირებული იყვნენ ბაზარზე და თავად უზრუნველყოფდნენ გაფართოებულ კვლავწარმოებას. არც ერთი მათგანი არ იღებდა სახელმწიფო სუბსიდიებს. ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში, კონცერნები ვალდებულნი იყვნენ მიემართათ საკრედიტო დაწესებულებისათვის ან გამოეშვათ ობლიგაციები. მიუხედავად ამისა, ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილება, ეხებოდა ეს წარმოების ზრდის ტემპებსა თუ საინვესტიციო საქმიანობას, მიიღებოდა „ოიაგე-ს" დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებით. ცხადია, ეს ზღუდავდა ავსტრიის ეკონომიკისათვის ისედაც გიგანტური საწარმოების მოქნილობას, ხელს უშლიდა მათ ოპერატიულად გაეთვალისწინებინათ ახალი საბაზრო მოთხოვნები. ამას დაემატა სტრუქტურული კრიზისი, რომელმაც კაპიტალისტური ქვეყნების მძიმე ინდუსტრიის ტრადიციული დარგები მოიცვა. უკვე 1985 წელს სახელმწიფო სექტორის წამყვანმა კონცერნებმა დიდი ფინანსური დანაკარგები აჩვენეს, რამაც საფრთხე შეუქმნა ეროვნული ეკონომიკის სიჯანსაღეს.

ნაციონალიზებული ინდუსტრიის ფინანსურმა სიძნელეებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს პრივატიზაციის ანუ სახელმწიფო საწარმოთა კერძო სექტორისათვის გადაცემის იდეას, რომელსაც მხარს უჭერენ, როგორც პოლიტიკური ოპოზიცია, ასევე სამთავრობო კოალიციაში შემავალი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია. ფედერალური მთავრობის სათავეში მდგომი სოციალისტები დათანხმდნენ მცირე ზომის ნაკლებად რენტაბელური საწარმოების მთლიან გაკერძოებას. რაც შეეხება მსხვილ სამრეწველო ფირმებს, მოხდა მხოლოდ მათი აქციების გარკვეული ნაწილის გაყიდვა, ისე რომ აქციების საკონტროლო პაკეტი შენარჩუნებული იქნა მთავრობის მიერ. ამასთან ერთად, სოციალისტებმა წამოაყენეს სახელმწიფო სექტორის ფართომასშტაბიანი რეორგანიზაციის პროგრამა.

„ოიაგე"-ს დეცენტრალიზაციის მიზნით, მასში შემავალ საწარმოთა ბაზაზე ჩამოყალიბდა 350 არც თუ ისე დიდი ზომის ფირმა, რომელთაც მიიღეს ე. წ. შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სტატუსი. ჩვეულებრივ ამ ტიპის სტრუქტურებს აკონტროლებს ერთი ან რამდენიმე ინვესტორი. კომერციულად, ისინი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ. ოპერატიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას — პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას ეხება ეს თუ ახალი ტექნიკის დანერგვას და სხვა სამეურნეო რგოლებთან კოოპერაციას, წყდება კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ.

ახლადშექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიათა ერთადერთ მესაკუთრედ გვევლინება 7 დარგობრივი ჰოლდინგი, რომლებიც ნაციონალიზებული ინდუსტრიის მართვის შუალედურ რგოლს შეადგენენ. მათ ევალებათ დაქვემდებარებული საწარმოების ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება, აგრეთვე, მათი მეცნიერულ-ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფა, კადრების მომზადება. დარგობრივ ჰოლდინგებს, მათ კონტროლქვეშ მყოფი ფირმებისაგან განსხვავებით, სააქციო საზოგადოების სტატუსი აქვთ. ისინი უფლებამოსილი არიან გამოუშვან და ფართო საზოგადოებას შესთავაზონ თავიანთი აქციები და ობლიგაციები. ფინანსური რესურსების მოზიდვის ამ მეთოდით ჰოლდინგები ხშირად სარგებლობენ. დაქვემდებარებული ფირმების დირექტორთა საბჭოებთან ერთად, დარგობრივი ჰოლდინგების დირექტორთა საბჭო ქმნის ფორუმს, რომელიც მოწოდებულია განიხილოს ამა თუ იმ დარგის სტრატეგიული პრობლემები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებანი.

დარგობრივი ჰოლდინგების აქციების საკონტროლო პაკეტებს ფლობს თვით ავსტრიის ინდუსტრიული კომპანია „ოიაგე". იგი სახელმწიფო სექტორის მართვის უმაღლესი რგოლია და განსაზღვრავს ნაციონალიზებული ინდუსტრიის სტრუქტურულ ცვლილებებს, განვითარების ტემპებსა და პროპორციებს, საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს. მასვე ევალება დარგობრივი ჰოლდინგების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და კონტროლი. „ოიაგე"-ს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს გრძელვადიანი ფუნდამენტური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ორგანიზაცია და განხორციელება. ამისათვის მას ექვემდებარება სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ქრისტიან დოპლერ ლაბორატორის".

„ოიაგე"-ს და მასში შემავალი ჰოლდინგების წამყვან მენეჯერებს ამტკიცებს ავსტრიის ფედერალური მთავრობა. რამდენადაც ეს უკანასკნელი კოალიციურია და შედგება ავსტრიის სოციალისტური და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთაგან, სახელმწიფო სექტორის უმსხვილეს საწარმოების გენერალური მენეჯერი და მისი მოადგილე, როგორც წესი, ამ პარტიების წევრები არიან. მართალია, კომპანიების საქმიანობის ყველა საკვანძო საკითხი ორი წამყვანი მენეჯერის კონსენსუსის საფუძველზე წყდება, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთს, როგორც პირველ პირს, მაინც აქვს გარკვეული პრიორიტეტები. ამ ნიადაგზე არც თუ ისე იშვიათია კონფლიქტები მმართველ პარტიებს შორის იმის თაობაზე, თუ როგორ გაინაწილონ მენეჯერთა პორტფელები. „ოიაგე"-ს გენერალური მენეჯერი და მისი მოადგილე დარგობრივი ჰოლდინგების ხელმძღვანელებთან ერთად ქმნიან ფორუმს, რომელიც კოორდინაციას უწევს ნაციონალიზებული ინდუსტრიის ფუნქციონირებას მთლიანობაში.

გარდა ორგანიზაციული გარდაქმნისა, სახელმწიფო სექტორის გაჯანსაღების სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებდა ნაციონალიზებული ინდუსტრიის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას პერსპექტიული დარგების — ელექტროტექნიკისა და ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგიისა და ქიმიური მრეწველობის სასარგებლოდ. ყველაფერი ეს უნდა განხორციელდეს უპირატესად „ოიაგე"-ს შინაგანი ფინანსური რესურსების მობილიზაციის გზით. კერძოდ, მასში შემავალი სამეურნეო რგოლების მოგების ხარჯზე და სახელმწიფო სექტორის კუთვნილი უძრავი ქონების გაყიდვით.

ნაციონალიზებული ინდუსტრიის რეორგანიზაციამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო. მართალია, „ოიაგე"-ს სისტემაში შემავალი ფირმების პროდუქციის გაყიდვების საერთო მოცულობა 1987-88 წლებში რამდენადმე შემცირდა, მაგრამ ეს მოხდა წამგებიან საწარმოთა პრივატიზაციისა და სათბობის წარმოების შემცირების გამო. რაც შეეხება პრიორიტეტულ დარგებს, მათი გაყიდვათა მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა. სადღეისოდ „ოიაგე"-ს ჯგუფი აწარმოებს ავსტრიის სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით მეხუთედს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფო სექტორის როლი ავსტრიის საბანკო სისტემაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქვეყნის 10 წამყვანი საკრედიტო დაწესებულებიდან ოთხი ფედერალური ხელისუფლების კონტროლქვეშაა. ორი მათგანი „კრედიტანშტალტ ბანკფერეინი" და „ოსტერაიჰიშე ლენდერბანკი" უმსხვილეს კომერციულ ბანკებს წარმოადგენენ, რომლებზეც მოდის ავსტრიის კომერციული საბანკო აქტივების 60 პროცენტზე მეტი. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი კომერციული ბანკები, იმავდროულად სამრეწველო ჰოლდინგებიც არიან. ისინი განაგებენ საკმარისად მძლავრი ინდუსტრიული კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს. იგივე „კრედიტანშტალტ"-ის დაქვემდებარებულ სამრეწველო ფირმებში საქმიანობს ავსტრიის ინდუსტრიაში დასაქმებულ მუშაკთა 6 პროცენტი. აქ იწარმოება ალპიური რესპუბლიკის საექსპორტო პროდუქციის 7 პროცენტზე მეტი.

ნაციონალიზებული ბანკების უმეტესობას გააჩნია სააქციო საზოგადოების სტატუსი. ავსტრიის რესპუბლიკა გამოდის როგორც მათი ძირითადი აქციონერი. მაგალითად, სიდიდით მეორე ავსტრიულ ბანკში — „ოსტერაიჰიშე ლენდერბანკ"-ში ფედერალურ ხელისუფლებას ეკუთვნის აქციების 73 პროცენტი. სააქციო კაპიტალის დანარჩენი ნაწილს კი ფლობს 15 000-ზე მეტი კერძო ინვესტორი. ბანკის აქციები თავისუფლად იყიდება ევროპის საფონდო ბირჟებზე. სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი საკრედიტო დაწესებულებანი არაიშვიათად მიმართავენ ობლიგაციების ემისიასაც.

სახელმწიფოს ბანკების ორ მთავარ მენეჯერს, ისევე როგორც ინდუსტრიულ სექტორში, ნიშნავს ფედერალური მთავრობა. რაც შეეხება დირექტორთა საბჭოს დანარჩენ წევრებს, მათი არჩევა ხდება აქციონერთა საერთო კრებაზე. თავიანთ საქმიანობას აღნიშნული ბანკები წარმართავენ კომერციული დამოუკიდებლობის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მთავრობის ყოველგვარი ჩარევის გარეშე. თითოეულ მათგანს აქვს თავისი საბაზრო სტრატეგია, რომელიც არაფრით არ იზღუდება. ასეთ პირობებში კონკურენცია ნაციონალიზებულ საბანკო ჯგუფებს შორის ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა. სწორედ ეს განაპირობებს მათ მოქნილობას და სწრაფ შემგუებლობას მუდმივად ცვალებად სამეურნეო გარემოში.

სახელმწიფო მეწარმეობასთან ერთად, ეროვნული ეკონომიკის ფრიად მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს კოოპერატიული სექტორი. თუ რა როლი აკისრია მას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში იქედანაც ჩანს, რომ ყოველი ორი ავსტრიელიდან, ერთი მაინც ამა თუ იმ კოოპერატივის წევრია. კოოპერატივები კი ავსტრიაში მრავალგვარია. არის აგროსამრეწველო კოოპერაცია, საკუთრივ სამრეწველო, სამომხმარებლო და საშენებლო კოოპერატივები. ისინი ქმნიან ავტონომიურ სამეურნეო სისტემებს — ეროვნულ ასოციაციებს, რომლებსაც საკუთარი ფინანსური ინფრასტრუქტურაც კი გააჩნიათ. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს აგროსამრეწველო კოოპერატივთა ასოციაცია „რაიფაიზენი". ამ უკანასკნელის წილად მოდის ქვეყნის მარცვლეულის მოსავლის 2/3 და ხორცისა და რძის წარმოების 90 პროცენტი.

ასოციაცია „რაიფაიზენ"-ის საყრდენ სამეურნეო რგოლს შეადგენს 2 200 კოოპერატივი, რომლებიც 1,2 მილიონ ავსტრიელს აერთიანებს. მათი მთავარი მიზანი, ჯერ კიდევ 1873 წელს მიღებული კოოპერატიული აქტის მიხედვით, არის კოოპერატორთა საწარმოო და კომერციული საქმიანობის ყოველმხრივი ხელშეწყობა. კოოპერატივის თითოეული წევრი წარმოადგენს ერთდროულად მწარმოებელსაც და მომხმარებელსაც. საზოგადოებაში გაერთიანება ხდება ნებაყოფლობით, წილობრივი მონაწილეობის პრინციპის მიხედვით. კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოა მისი წევრთა ასამბლეა, სადაც კოოპერატორებს მხოლოდ თითო ხმის უფლება აქვთ. ასამბლეა ირჩევს საზოგადოების დირექტორთა (მენეჯერთა) საბჭოს და საზედამხედველო საბჭოს. კოოპერატივების მმართველობითი აპარატი მინიმალურია.

„რაიფაიზენების" უმეტესობა საწარმოო პროფილისაა. ისინი ფუნქციონირებენ აგროსამრეწველო სფეროს 20-ზე მეტ დარგში. მათ შორის ხორცისა და რძის, ხილისა და ყურძნის, მარცვლეულისა და კარტოფილის წარმოებაში. ჩვეულებრივ კოოპერატიული საზოგადოებანი თვითონვე ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებასაც, რისთვისაც მათ სათანადო საწარმოო სიმძლავრეები გააჩნიათ. მაგალითად, რძის პროდუქტების ძირითადი მიმწოდებელი ავსტრიაში 79 კოოპერატივია, რომლებიც თავიანთ ქარხნებში უშვებენ ფართო ასორტიმენტის კარაქს, ყველს და სხვა პროდუქტებს. პროდუქციის შენახვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია უპირატესად კოოპერატივების მიერვე ხორციელდება. აგროსამრეწველო პროფილის მწარმოებელი კოოპერატივების გარდა „რაიფაიზენ"-ის სისტემაში შედის შესანახი ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ერთობლივი სარგებლობის, მშენებლობის და თქვენ წარმოიდგინეთ, ელექტროენერგიის მწარმოებელი კოოპერატივებიც. სხვათა შორის, ეს უკანასკნელნი ფლობენ მცირე ჰესებს, რომელთა ქსელი ფართოდაა გავრცელებული ავსტრიაში.

ამა თუ იმ დარგის კოოპერატივები ერთიანდებიან პროვინციულ კოოპერატიულ ასოციაციებში, ისინი თავის მხრივ ქმნიან ფედერალურ ასოციაციებს, რომლებიც „რაიფაიზენების" ეროვნულ ასოციაციაში შედიან. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პროვინციული ან ფედერალური ასოციაციები რაიმეთი ზღუდავენ კოოპერატივების კომერციულ დამოუკიდებლობას, და საქმიან ინიციატივას. სრულებითაც არა. ისინი მოწოდებულნი არიან ყოველნაირად დაიცვან „რაიფაიზენების" ინტერესები, საჭიროების შემთხვევაში კი აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება, [illegible] ციაციებს ევალებათ, აგრეთვე, [illegible]ოპერატივების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობა. პროვინციული და ფედერალური ასოციაციების მნიშვნელოვან ფუნქციას შეადგენს „რაიფაიზენების" მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი და მათი საგარეო-ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა, აგრეთვე, მათი მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ცალკე უნდა ითქვას კოოპერატივების საბანკო ბიზნესის შესახებ. მხოლოდ „რაიფაიზენების" ასოციაციაში 880 საკრედიტო კოოპერატივი შედის, რომელთა 2400 განყოფილება ალპიური რესპუბლიკის ყველა კუთხეშია მიმოფანტული. რაიფაიზენბანკები წარმოადგენენ საკრედიტო ამხანაგობებს და უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავდნენ მათში შემავალი 1,6 მლნ. კოოპერატორის მომსახურებას. მიუხედავად მცირე ზომისა, ისინი საკმარისად მძლავრი საკრედიტო დაწესებულებებია.

რაიფაიზენბანკები ქმნიან პ[illegible]ვინციულ საბანკო ინსტიტუტ[illegible] ისინი ასრულებენ საანგარიშსწორებო ცენტრების ფუნქციას და მოწოდებულნი არიან საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ მათ დამფუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებელ კოოპერატივებს. რეგიონალური რაიფაიზენბანკები გაერთიანებულია სააქციო საზოგადოებაში, რომელსაც „რაიფაიზენ ცენტრალ ბანკი" ეწოდება. მისი საშუალებით ხდება ფულადი რესურსების მოძრაობა ცალკეული პროვინციების საკრედიტო კოოპერატივებს შორის. აგრეთვე „რაიფაიზენის" ასოციაციასა და გარეშე საბანკო დაწესებულებებს შორის. აგროსამრეწველო კოოპერატივების ცენტრალური ბანკი არეგულირებს „რაიფაიზენების" საფინანსო საქმიანობას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთაც. ამასთან, იგი ავსტრიის ერთ-ერთი წამყვანი კომერციული ბანკია, რომლის ინტერესები არ შემოიფარგლება მარტოოდენ ეკონომიკის აგრარული სექტორით. იგი უნივერსალურ საკრედიტო მომსახურებას ეწევა: გასცემს მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებს, ახორციელებს ლიზინგსა და ფაქტორინგს, დაზღვევასა და სავალუტო დილინგს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო და კოოპერატიული მეწარმეობა ზღუდავს ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარებას. ამგვარი რამ ეწინააღმდეგება პლურალისტური ეკონომიკის პრინციპებს, რომლებიც გულისხმობენ საკუთრების ყველა ფორმის თანაბარუფლებიან თანაარსებობას ბაზრის მოთხოვნილებისამებრ. მართალია, ეროვნულ მეურნეობაში სტრუქტურულ ძვრებთან დაკავშირებით 60-70-იან წლებში კერძო სექტორის როლი რამდენადმე შემცირდა, თუმცა უკანასკნელ ათწლეულში კვლავ დაისახა მისი პოზიციების განმტკიცების ტენდენცია. სადღეისოდ კერძო მეწარმეობის წილად მოდის ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტი. კერძო ფირმები მოქმედებენ ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტრონიკა და ქიმიური ინდუსტრია, ფარმაცევტიკა და ქაღალდის მრეწველობა. განსაკუთრებით მაღალია კერძო სექტორის ხვედრითი წილი მსუბუქსა და კვების მრეწველობაში. აღარაფერს ვამბობთ ვაჭრობასა და მომსახურების სფეროზე, რომლებიც უპირატესად კერძო კაპიტალის ხელშია.

ორგანიზაციულად კერძო ფირმების უმრავლესობა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებს, რომელთაც ფლობს ინვესტორთა ძალზედ ვიწრო წრე. საკუთრების ასეთი ფორმა განსაკუთრებით მისაღებია საოჯახო ფირმებისათვის. უკანასკნელთა რაოდენობა კერძო სექტორში საკმაოდ დიდია. კერძო კომპანიების ნაწილი სააქციო საზოგადოებათა რიგს განეკუთვნება. როგორც წესი, მათში გამოიკვეთება ძირითადი ინვესტორი ან კიდევ ინვესტორთა ჯგუფი, რომლებიც აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობენ, აქციების დანარჩენი ნაწილი მიეყიდება ფართო საზოგადოებას. სააქციო საზოგადოების სტატუსი უპირატესად მსხვილ კერძო კომპანიებს გააჩნიათ, რომლებიც თავის მხრივ აკონტროლებენ არა ერთსა და ორ ფილიალს.

წარმოების კონცენტრაციის დონე ეროვნული მეურნეობის კერძო სექტორში მაღალი არ არის. აქ უმთავრესად წვრილი და საშუალო ზომის ფირმები მოქმედებენ, რომელთა მუშა-მოსამსახურეების რაოდენობა 500 კაცს არ აღემატება. ისინი მეტწილად საშინაო ბაზარზე არიან ორიენტირებული. ამ უკანასკნელის მოცულობა კი ერთობ შეზღუდულია და არ აძლევს კერძო საწარმოებს სწრაფი ზრდის საშუალებას. ამიტომ არის, რომ კონკურენცია ქვეყნის შიგნით მეტად მძაფრ ხასიათს ატარებს. ბოლო წლებში იმატა გაკოტრებულ ფირმათა რიცხვმა, რამაც თავის თავად დააჩქარა კაპიტალის გამსხვილების პროცესი. კერძო სექტორში უკვე გამოიკვეთა ჯგუფი დინამიურად მზარდი ფირმებისა. 200 წამყვანი ავსტრიული კომპანიიდან დაახლოებით ნახევარი კერძო კაპიტალის დაქვემდებარებაშია. თუმცა მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ შორსაა საერთაშორისო სტანდარტებისაგან. თავიანთი ზომით და საბაზრო პოზიციებით ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან მეზობელი ქვეყნების, თუნდაც პატარა შვეიცარიის, ფირმებს, რომლებმაც უკვე კარგა ხანია, გადალახეს ეროვნული საზღვრები, ხოლო მათმა პროდუქციამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა მსოფლიო ბაზრებზე. ავსტრიული კომპანიები ცდილობენ ერთგვარი რევანშის აღებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1980 წლიდან მოყოლებული გაორკეცდა ავსტრიული ინვესტიციების მოცულობა უცხოეთის ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა გფრ-სა და აშშ-ი.

და მაინც სამუშაო ადგილების ორი მესამედი ქვეყანაში კვლავ მცირე და საშუალო ზომის ფირმებზე მოდის, რომელთაც ძალზედ უჭირთ ტექნოლოგიური პროგრესის ფორვატერში ყოფნა. სწორედ ამიტომაა, რომ ავსტრიელთა უმეტესობა არ იზიარებს მთავრობის გეგმებს ქვეყნის „საერთო ბაზარში" შესვლასთან დაკავშირებით. ადგილობრივი ბიზნესმენები შიშობენ, რომ ევროპის ინტეგრირებულ ბაზარზე ისინი ვერ გაუმკლავდებიან დასავლეთგერმანული, ფრანგული და დიდ ბრიტანული ტრანსეროვნული კომპანიების შემოტევას, რომ თვით სახელმწიფო სექტორის მსხვილ კონცერნებსაც კი გაუძნელდებათ კონკურენტული პოზიციების შენარჩუნება.

მიუხედავად ამისა, ალპიური რესპუბლიკის ეკონომიკაში უკვე საკმაოდ აქტიურად საქმიანობს უცხოური კაპიტალი. საზღვარგარეთულ ფირმებს აქ ბევრი რამ იზიდავთ: მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, პოლიტიკური სტაბილურობა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, შედარებით დაბალი გადასახადები... ყოველივე ეს ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს ქმნის. უცხოური საკუთრება უპირატესად მრეწველობის დარგებშია კონცენტრირებული. კერძოდ, ელექტრონიკაში მისი ხვედრითი წილი 53 პროცენტს აღწევს, მეტალურგიასა და მანქანათმშენებლობაში — 18-ს, ნავთობქიმიაში 25-ს. არც თუ ისე უმნიშვნელოა მათი როლი ფინანსურ ბაზარზეც. უცხოური ფილიალების ფუნქციონირება რეგულირდება ფედერალური მთავრობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ. უპირატესობა ეძლევათ მეცნიერებატევადი დარგების საზღვარგარეთულ კომპანიებს, რომელთაც ქვეყანაში შემოაქვთ ახალი ტექნოლოგია და მმართველობითი გამოცდილება. ასე რომ ეროვნული ეკონომიკური ინტერესები საიმედოდ არის დაცული.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად მაღალი ხვედრითი წილისა მატერიალური წარმოების დარგებში, საბანკო სექტორში კერძო კაპიტალის როლი მცირეა. აქ ძირითადად სახელმწიფო და კოოპერატიული ბანკები ბატონობენ. რაც შეეხება კერძო ბანკებს ისინი ქმნიან ე. წ. საბანკო სახლებს — შეზღუდული პასუხისმგებლობის საბანკო კომპანიებს, რომელთა პარტნიორები ხშირად კაპიტალისტთა ამა თუ იმ ოჯახის წევრები არიან. მაგალითად, ორ უმსხვილეს საბანკო სახლს განაგებენ ვინტერებისა და შოლერების ოჯახები. მთლიანობაში კერძო ბანკები ავსტრიის ერთობლივი საბანკო აქტივების მხოლოდ 1 პროცენტს მოიცავენ, ოდნავ მეტია მათი წილი სასესხო კაპიტალის ეროვნულ ბაზარზე.

ასეთია ზოგადად ეკონომიკის საკუთრებითი სტრუქტურა ავსტრიაში. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი მთავარი თვისებაა მოქნილობა. ამა თუ იმ ფორმის მეწარმეობა ქვეყანაში მხოლოდ იმდენად იზღუდება, რამდენადაც ამას მოითხოვს საბაზრო მექანიზმი. რაც შეეხება მთავრობის სათავეში მყოფ პოლიტიკურ ძალთა ზემოქმედებას, იგი მარტოოდენ მუდმივად ცვალებადი სამეურნეო გარემოს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით შემოიფარგლება და არ ეხება საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ფუნდამენტურ პრინციპებს.

# შეიქმნა ხევსურეთის სათემო საბჭო

კვირას, 6 მაისს, სოფელ ბარისახოში გაიმართა ხევსური მოსახლეობის ყრილობა, რომელმაც განიხილა „ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის, ანუ მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემის პროგრამა" (იგი გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის 5 მაისის ნომერში).

ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღეს საქართველოს მთიანეთი და განსაკუთრებით კი ხევსურეთი უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია. მიუხედავად მთავრობის მიერ გატარებული არა ერთი ღონისძიებისა, სასიკეთო ძვრები მაინც არ ჩანს. პირიქით, ყოველწლიურად მატულობს გადასახლებულთა რიცხვი. მთლიანად გაუკაცრიელდა და უკაცრიელდება მთელი რიგი სოფლები. თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში ხევსურეთი დარჩება უხევსურებოდ, ხოლო საქართველო უხევსურეთოდ.

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ მკვეთრად გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ ხევსურეთის დაჭრილ გულს ისევ ხევსურებმა უნდა უმკურნალონ, უმკურნალონ იმ გზებითა და საშუალებებით, რომლებიც მოცემულია „ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის პროგრამაში".

ერთსულოვანი იყო ყრილობის მონაწილეთა აზრი იმის თაობაზე, რომ დღეს, როდესაც საქართველოში უაღრესად რთული მდგომარეობაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში, საქართველოს მთიანეთმა და მათ შორის ხევსურეთმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის თითოეული ჩვენთაგანისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. და ახლა, ჩვენს მიერ უქმად და უაზროდ დაკარგული ყოველი დღე სამშობლოს ღალატის ტოლფასია. ამიტომ ყრილობამ კატეგორიულად მოითხოვა: დაუყოვნებლივ დაიწყოს ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის პროგრამის განხორციელება და ამ მიმართებით პირველი ნაბიჯი თვითონვე გადადგა.

აღნიშნული პროგრამის შესაბამისად, ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ხევსურეთის სათემო საბჭო.

ყრილობამ სათემო საბჭოს დროებით სამუშაო ჯგუფს დაავალა გააკეთოს შემდეგი სახის განცხადება:

„ის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, რომლებიც აპირებენ მიმდინარე წელს ისარგებლონ ხევსურეთის საზაფხულო საძოვრებით (როგორც ცხვრის, ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის) ამა წლის 25 მაისამდე უნდა გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულებები სათემო საბჭოსთან (სოფელი ბარისახო).

ის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებსაც არ ექნებათ დადებული ხელშეკრულება სათემო საბჭოსთან, ხევსურეთის საზაფხულო საძოვრებით ვერ ისარგებლებენ".

ყრილობამ გადაწყვიტა მიმდინარე წლის 19 მაისს, დღის 12 საათზე სოფელ ბარისახოში ჩატარდეს დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩევს სათემო საბჭოს, მის თავმჯდომარეს და განიხილავს საჭირბოროტო საკითხებს.

გარდა ამისა, ყრილობამ დასახა რიგი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის პროგრამის განხორციელებას.

**სათემო საბჭოს საინიციატივო ჯგუფი.**

### ყურადღება

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" სათნოების ორდენი აცნობებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღე დაივიწყოს ყოველდღიური საზრუნავი და ეს დღე დაუთმოს უკიდურესად გაჭირვებულ თანამოძმეთა ხვედრის შემსუბუქებას, რომ ორდენის წევრები, აგრეთვე ყველა მსურველი შეიკრიბებიან 19 მაისს, შაბათს, დღის 2 საათზე ქაშუეთის ტაძრის ეზოში. გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე ადგილზევე შევთანხმდებით.

# განცხადება

ამ ბოლო ხანს სრულიად საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის ხელმძღვანელობას მოსდის ცნობები, რომ ასოციაციის სახელით არაკეთილსინდისიერად სარგებლობენ ცალკეული პირები, მათ შორის, თვით ინვალიდებიც. ამგვარი ქმედებანი ხდება პირადად ჩემი სახელითაც.

არ არის გამორიცხული, რომ თვით ინვალიდთა ასოციაციის რომელიმე რგოლის ხელმძღვანელობაშიც აღმოჩნდნენ ინვალიდთა მოძრაობას ანგარების თუ სხვა მიზნებით მიტმასნილი პირები.

საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ ე. წ. საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს დაკარგული გვაქვს ხელმძღვანელთა პრინციპულობისა და კეთილსინდისიერების რწმენა. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთს ერიდება ჩვენს წინაშე უღირსი პირების საქმიანობის მხილება; არადა, შუბის ხალთაში დამალვის მცდელობით სახელი უტყდება მთლიანად ასოციაციასა და მის ხელმძღვანელობას.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ, რომ, თუკი რომელიმე ორგანიზაციაში ან მოქალაქესთან ვინმე მივა ინვალიდთა ასოციაციის ანდა ასოციაციის ხელმძღვანელთა სახელით და ეჭვი აღეძრებათ მოსულის კეთილსინდისიერებაში, გთხოვთ, მოგვმართოთ პირადად ჩვენ — ასოციაციის თანაპრეზიდენტს ქ-ნ თინათინ ჭედიასა და მე.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ასოციაციის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს მიმართავს, რათა დროულად და ძირფესვიანად აღიკვეთოს მსგავსი ქმედებანი.

**ზაზა სიხარულიძე,**
**საქართველოს ეროვნული ფორუმის წევრი, ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი.**

**1990 წლის 12 მაისი.**

# ჯაზის დღეები თბილისში

**17 მაისი, ხუთშაბათი**

13.30 — ფოლკლორული ჯგუფის „ესპეს" კონცერტი და პანტომიმისტის გამოსვლა თსუ-ში.

**18. მაისი, პარასკევი**

20.00 — როკ-ანსამბლ „პერფექტ პიქჩერს"-ის კონცერტი ფილარმონიის დიდ დარბაზში.

**19 მაისი, შაბათი**

16.00 — პიანისტ სილვიან პინტარელის სოლო კონცერტი შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში.

18.00 — როკ-ანსამბლი „პერფექტ პიქჩერს"-ის კონცერტი საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

19.00 — მოცეკვავეთა და აკრობატთა საჩვენებელი გამოსვლები ფიზკულტურის ინსტიტუტში.

**ცნობებისათვის მიმართეთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას, ათონელის ქ. 25. ტელ.: 93-10-18.**

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელს"

ამა წლის აპრილის თვეში სრულიად საქართველომ ღირსეული პატივი მიაგო 9 აპრილსა და საბჭოთა არმიის რიგებში დაღუპულთა ხსოვნას. რამდენი დედა შემოსეს შავი ძაძებით და რამდენ ოჯახში დაატრიალეს გლოვის ზარი სატანის მოდგმისებმა. უბედურების ცნობა ონის რაიონის სოფელ ნიგვზნარის მცხოვრებთ გულნარა და ჯემალ გობეჯიშვილების ოჯახსაც დაატყდა თავს. მშობლები საღი და ჯანმრთელი შვილის დაბრუნებას დიდი ნატვრით რომ ელოდნენ, ამის ნაცვლად ამა წლის მარტის თვეში ტყვიით განგმირულის ცხედარი დაიტირეს. რატომ, რისთვის, კითხულობდა სოფელი და წყევლა-კრულვას უგზავნიდა მოძალადეს.

უბრალო რიგითი ჯარისკაცის გელა გობეჯიშვილის ოჯახს დიდი თანადგომა გამოუცხადა ეროვნული მოძრაობის თავკაცმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. მან ფულადი დახმარება 500 მანეთის ოდენობით და სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა დაღუპულის მშობლებს. ამ ადამიანურ თანაგრძნობას, მორალურ მხარდაჭერას და დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭირისუფლებისათვის.

**ნ. გობეჯიშვილი**

# გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორს

ამა წლის 12 მაისის „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებულია კოლექტიური წერილი: „დაგაგვიანდა, დაგაგვიანდა ანუ კოტე მახარაძის გასაგონად თქმული". წერილის ხელმომწერთა შორის ჩემი გვარიც ამოვიკითხე.

უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ სტატიას არ გავცნობივარ წინასწარ და საერთოდ, თვალითაც არ მინახავს პუბლიკაციამდე. ამდენად, არ შეიძლება თანაავტორი ანდა წერილის ხელისმომწერი ვიყო. ამიტომ ვაცხადებ პროტესტს და გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მკითხველებს აუწყოთ ამის შესახებ.

**პატივისცემით,**
**ციალა არდაშელია**

# საქართველო შეირჩევს ყოვლისა!

**სრულიად საქართველოს სამხედრო ტიპის, პატრიოტულ-სპორტული საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონის" სამხედრო საბჭოს**

# განცხადება

გაცნობებთ, რომ თანახმად ადრე გაკეთებული განცხადებისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის კურთხევისა, დაბა კოჯორში, ციხესთან ვიწყებთ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობას, მიძღვნილს 1921 წლის თებერვალში, საქართველოს დამპყრობელთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად.

ადგილის განათვლის ცერემონიალს ამა წლის 25 მაისს, საღამოს შვიდ საათზე ჩაატარებს უწმინდესი და უნეტარესი — ილია მეორე.

ღმერთო, დაიფარე საქართველო და საქართველოს მადლით „ქართველ შევარდენთა ლეგიონი" — ამინ!

# ინფორმაცია

1990 წლის 9 მაისს შედგა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ მწერალთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელ კრებაზე გადაწყდა:

1) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან შეიქმნას მწერალთა ასოციაცია;

2) დაარსდეს ასოციაციის ლიტერატურული გაზეთი „ჩვენი მესიტყვე";

3) განახლდეს ლიტერატურული ალმანახის „ფენიქსის" გამოცემა;

4) დაარსდეს გამომცემლობა „ეროვნულ-დემოკრატი".







კირილე ვეკუა

გურამ შარაძე

# „თეთრი გიორგი“



შალვა მაღლაკელიძე

— „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგის ალ. მანველიშვილის განმარტებით, „მოძრაობა „თეთრი გიორგის“ აზროვნება ქართულ სინამდვილეში არის ახალი სიტყვა. ეროვნული აზროვნება საქართველოში წინათაც არსებობდა, მაგრამ ეს უფრო იყო ფრაგმენტალური და ლიტერატურული. მას აკლდა მთლიანობა, ყველა ეროვნულ ღირებულებათა ერთ სისტემაში მოქცევა, რასაც ფრანგებმა „ინტეგრალური“ ნაციონალიზმი უწოდეს და რაც მო...

და აი, სამივე ამ მიმართულებას ერთბაშად დაუპირისპირდა ქართული ახალგაზრდული მოძრაობა „თეთრი გიორგი“, რომელმაც ასე განსაზღვრა თავისი სამოქმედო პროგრამა:

„თეთრი გიორგი“ არის ვრცელი პოლიტიკურ პერიოდის განმავლობაში ჩვენი ხალხის ეროვნული განვითარების უკანასკნელი და უმაღლესი ეტაპი, გამომხატველი მისი...



კალისტრატე სალია





ვიქტორ ნოზაძე



მიხაკო წერეთელი

ტი-აპრილის 74-75-ე ნომრებს უკვე სარედაქციო კოლეგია აწერს ხელს. ასე გაგრძელდა 1935 წლის იანვარ-თებერვლამდე (№№ 84-85). 1935 წლის აპრილიდან (№ 86) კი, მას შემდეგ რაც გაერთიანდა „ორნატისა“ და „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციები, გაზეთს ვიქტორ ნოზაძე ჩაუდგა სათავეში.



სიმონ ბერეჟიანი

ინფორმაცია „ქართველი მხატვრები პარიზში“, სადაც ვკითხულობთ:

„პარიზის დამოუკიდებელ მხატვართა 38-ე გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა 21 იანვარს დიდ სა-





შალვა ამირეჯიბი

ლავთ საფრანგეთში, ტიე-ს სასაფლაოზე (იხ. ლტოლვილთა საძვალენი, პარიზი, 1973, გვ. 22).





ალექსანდრე მანველიშვილი შვილებთან

(№ 10-11). ეს წერილი წარმოადგენს შემოკლებით თავს იმ თხზულების, რომლითაც ავტორმა მოიპოვა ნეაპოლის აღმოსავლური ინსტიტუტის მიერ გამოცხადებული პრემია; ნ. დგებუაძე, ეროვნული ფრონტის შესახებ (№ 10-11); ალ. მანველიშვილი, თეთრიგიორგული მოძრაობა (№ 9, № 10-11); დ. ვაჩნაძე, საქართველო-კავკასიის სადღეისო საკითხებზედ (№ 10-11); იტალიური პრესა და საქართველო (№ 10-11); ანდრო დოლიძე (ვფიქრობთ, ალ. მანველიშვილის ფსევდონიმია გ. შ), ...

გამართულ ალექსანდრე ბატონიშვილის საღამოს.

განისვენე მშვიდათ უცხო მიწაში, ძვირფასო მამულიშვილო. შენი უდროოდ გარდაცვალება უცხოეთში მაჩვენებელია იმის, რომ ქართველ ხელოვანს, ქართულ ნიჭს შენს სამშობლოში ჯერ არა აქვს ასპარეზი“. (შდრ. გ. შარაძე, ორნატი, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1990, № 1). მიხეილ ბილანიშვილი დაუკრძა-

დასასრული. დასაწყისი იხ. № 52.

რეზო ბაბაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ფრაქცია

# მხოლოდ ზნეობრივი გზით

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გარკვეულწილად კრიზისმა მოიცვა, რაც გამოიხატა პარტიათა შორის უთანხმოებებით, რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს პრიორიტეტული პოზიციებისათვის ბრძოლას.

ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს ეროვნულ ძალთა გაერთიანებას. დაქსაქსულობა და ურთიერთქიშპი, ეს ჩვენი ისტორიული მტერი, მოწინააღმდეგე ძალებს საშუალებას აძლევს დეზორგანიზაცია მოახდინონ პატრიოტთა რიგებში. სად ხედავთ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან?

2. საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის ლიკვიდაციის საკითხმა გამწვავებული სახე მიიღო. მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდის შემდეგაც სიტუაცია დაძაბულია. ორმხრივი კომპრომისით შეთანხმების მიღწევა რამდენად რეალურია?

3. პოლიტიკურ ბრძოლაში ხშირად ხელმძღვანელობენ მაკიაველური პრინციპით — „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და იქვე დასძენენ, რომ „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“.

არსებობს პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე, ცივილიზებული ფორმებიც.

რომელს ანიჭებთ უპირატესობას და გვეთანხმებით თუ არა, რომ საერთო ეროვნული ინტერესები ნებისმიერი პარტიის ინტერესებზე მაღლა დგას?

ჩვენს ამ შეკითხვებზე პასუხობენ:

1. **ზვიად გამსახურდია** — ჰელსინკის კავშირისა და წმიდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე.

2. **ნუგზარ მოლოდინაშვილი** — მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრი.

3. **თემურ ჟორჟოლიანი** — საქართველოს მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე.

4. **შოთა შაშიაშვილი** — ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. უპარტიო.

### ზვიად გამსახურდია.

1. — მართალია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კრიზისმა მოიცვა, მაგრამ ჩვენ კარგად უნდა გავაანალიზოთ ამ კრიზისის მიზეზები. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ გვიპირისპირდება ძალზე ძლიერი და ვერაგი მტერი. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ის ძალები, რომელთაც წარსულში არაერთგზის დაარბიეს ჩვენი მოძრაობა და ეს ყოველივე დააგვირგვინეს 9 აპრილის ჯალათური აქციით, დღეს ჭეშმარიტად „გარდაიქმნენ“ და აღარ აპირებენ ეროვნული მოძრაობის განადგურებას? ასეთი ვარაუდი მიუტევებელი სიბეცე იქნებოდა. პირიქით, როგორც ჩვენ გამოვიბრძმედეთ მათთან ბრძოლაში, ისე ისინი დაიხვეწნენ, გაძლიერდნენ, ისწავლეს ეფექტური მეთოდების გამოყენება და თავიანთ დროშაზე დაიწერეს ოდინდელი სიბრძნე, რომ ყოველი ციხე შიგნიდან ტყდება. მათ შექმნეს „ტროასეული ცხენები“ ჩვენს მოძრაობაში, ცრუ ორგანიზაციების და პარტიების სახით, აამოქმედეს თავიანთი ძირითადი იარაღი — კორუმპირებული მაფია, რომელმაც შემოაღწია ეროვნულ მოძრაობაშიც და ახლა ცდილობს ამ მოძრაობის სადავეთა ხელში ჩაგდებას, ვინაიდან ტერორიზების გზით თავის ნებას დაუქვემდებარა ზოგიერთი უპრინციპო და მერყევი ორგანიზაცია. ყოველივე ამას ადასტურებს ფორუმში მომხდარი უკანასკნელი ამბები.

როდესაც თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენი ისტორიული მტერი მოწინააღმდეგე ძალებს საშუალებას აძლევს დეზორგანიზაცია მოახდინონ პატრიოტთა რიგებში, უნდა გახსოვდეთ, რომ ჭეშმარიტ პატრიოტებს ეს არ ეხება. თქვენ უნდა განასხვავოთ ნამდვილი და ყალბი პატრიოტები, ნამდვილი და ყალბი ორგანიზაციები, ეროვნულ მოძრაობაზე მიტმასნილნი. პატრიოტებს შორის კი არ არის დეზორგანიზაცია, არამედ პატრიოტებს ესხმიან ცრუ პატრიოტები, უწყობენ შეთქმულებებს, ინტრიგებს, ჭორისა და დეზინფორმაციის კამპანიებით სურთ მათი პოლიტიკური განადგურება, სწორედ თავად იბრძვიან პრიორიტეტული პოზიციებისთვის, რამეთუ ფიქრობენ, რომ მიკროფონზე მონოპოლიის გამოცხადება კმარა იმისთვის, რომ ხალხმა იწამოს შენი და გამოგყვეს, მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს ჩვენს ხალხს თვალი აეხილა და კარგად არჩევს თეთრს შავისაგან, ასეთ ცრუ ლიდერებს პოლიტიკური კრახის გარდა არაფერი ელით, უკეთუ ისინი დროზე არ მოეგებიან გონს.

**საჭიროა მკვეთრად გავმიჯნოთ ურთიერთისაგან ეროვნული მოძრაობა და მაფიოზური „მოძრაობა“**, რა და რა მაღალფარდოვანი დეკლარაციებითაც უნდა ინიღბებოდეს იგი, მაშინ შევძლებთ ეროვნული მოძრაობის გამოყვანას იმ კრიზისიდან, რომელშიც იგი ჩააგდო ოფიციოზის ხრიკებმა. პირველი ცდა ამ მიმართულებით არის ჩვენი ორგანიზაციების მიერ შექმნილი „მრგვალი მაგიდა“, რომელსაც მიაჩნია, რომ დღეს მთავარია ზნეობრივი პასუხისმგებლობა. პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს მაღალ ზნეობას, იგი განუყოფელი უნდა იყოს ადამიანური და ეროვნული უფლებების დაცვისაგან და თავის წმიდათაწმიდა მიზნად უნდა ისახავდეს ქართველი ერის ხსნას, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ანექსირებული საქართველოს პირობებში პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლა კი უზნეობად მიგვაჩნია. ჩვენი დევიზია აგრეთვე — კონსტრუქციული დიალოგი ყველა არასაბჭოურ, ჭეშმარიტად ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს თავისი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური პროფილი, პროგრამა და პლატფორმა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს. ამიტომ, ყოვლად გაუმართლებლად და ნაჩქარევად მიგვაჩნია ამ ეტაპზე ეროვნული ყრილობის მოწვევა, ვინაიდან ჯერ არ არის გარკვეული მრავალი პოლიტიკური ორგანიზაციის ნამდვილი სახე, ბოლო ყრილობის მომწვევი ორგანიზაციები არ ხელმძღვანელობენ ზნეობრივი კრიტერიუმებით. ასე რომ, იქ წარმოდგენილი ზოგიერთი ორგანიზაციების დელეგატები ვერ იქნებიან ქართველი ერის ინტერესების რეალური გამომხატველნი, უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნულ მოძრაობას მათგან შესაძლოა დიდი საფრთხე დაემუქროს.

2. — კომკავშირული ორგანიზაცია დღეს არ არის ერთგული საკუთარი დეკლარაციისა თვითგაუქმების შესახებ. სურთ შეცვალონ მხოლოდ სახელი, არსი კი იგივე რჩება. თანაც არჩეულია ახალი პირველი მდივანი სწორედ კომკავშირის ცკ-სი. ამის შედეგად დაიძაბა სიტუაცია კომკავშირის გარშემო. ჩვენის მხრივ არ იქნება არავითარი კომპრომისი — მოვითხოვთ კომკავშირის, როგორც ასეთის გაუქმებას.

3. — ჩვენი განსხვავება თქვენს მიერ ზემოთხსენებული ლიდერებისაგან და ორგანიზაციებისაგან არის ის, რომ ჩვენ ვგმობთ სწორედ მაკიაველურ პრინციპს — „მიზანი ამართლებს საშუალებას“, ხოლო ვისაც ჰგონია, რომ დღეს მაფიოზური და ნეობოლშევიკური მეთოდებით გაიმარჯვებს ხალხის თვალში, ძალზე შემცდარია. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი პარტიული ეგოიზმისა და ამბიციებისა, რის შედეგადაც ივიწყებენ ერის სამსახურს, ერის ინტერესებს და თვლიან, რომ ყველა პრობლემა დამოუკიდებელ საქართველოში უნდა მოაგვარონ, მანამდე კი იბრძვიან მხოლოდ ძალაუფლებისა და პრიორიტეტისათვის. ჩვენ მომხრენი ვართ სწორედ პოლიტიკური ბრძოლის ცივილიზებული ფორმისა. ტერორი, ძალადობა, ისევე როგორც ჭორისა და დეზინფორმაციის კამპანიის გამოყენება პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ, დაუშვებელია. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ავაშენოთ ცივილიზებული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო.

### ნუგზარ მოლოდინაშვილი.

1. — გეთანხმებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღეს კრიზისმა მოიცვა. საჭიროა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა. აუცილებელია, უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში მომზადდეს ოპტიმალური ეროვნული კონცეფცია. დრო არ ითმენს, კარზეა მომდგარი ჰელსინკი-2-ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფორუმი, რომელზეც აუცილებლად უნდა მოხერხდეს საქართველოს საკითხის დასმა.

„მრგვალი მაგიდა“ გარკვეულწილად ღია სტრუქტურაა, რომელიც, ჩემი აზრით, შეძლებს აიღოს ყველაფერი პოზიტიური დღეს არსებული საკმაოდ ფართო პოლიტიკური სპექტრიდან. „მრგვალი მაგიდა“ ღიაა ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ჩვენი სამშობლოს ჭეშმარიტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენა. იმედია, დიალოგებში დაიბადება ერთადერთი, რეალისტური, ოპტიმალური ეროვნული კონცეფცია.

2. — დღეს არსებულმა ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს თვითლიკვიდაცია — ეს ერის ნებაა. რაც შეეხება იმას, თუ რად უნდა გარდაიქმნას იგი, ეს უფრო რთული საკითხია. ჩემი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს აპოლიტიკური ახალგაზრდული კავშირი, რომელიც დამოუკიდებელი იქნება საბჭოური სტრუქტურებისაგან და იდგება აუცილებლად ეროვნულ ნიადაგზე.

თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, რა რეალურ კომპრომისზე შეიძლება წასვლა. „მრგვალი მაგიდის“ ინტერესთა სფეროში შედის ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

3. — გეთანხმებით, — ეროვნული ინტერესები არამარტო პარტიულ, არამედ ყველა სხვა დანარჩენ ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს, ხოლო რაც შეეხება გზებსა და ტაქტიკას, უზნეო ხერხებით მიზანს ვერ მივაღწევთ, ან მივალთ იმ შედეგამდე, რაც საბოლოო ჯამში არაეთიკური და მიუღებელი იქნება.

### თემურ ჟორჟოლიანი.

1. — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ ეტაპზე მიმდინარეობს დამოუკიდებლობის მოპოვების რეალური, კონსტრუქციული გზების ძიება; ეს მეტად რთული, მტკივნეული პროცესია. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს პარტიათა და პიროვნებათა შეხედულებების დაპირისპირებას. მიგვაჩნია, რომ ეს არის ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება და ამაში არაფერია საგანგაშო, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ხშირად ადგილი აქვს სუბიექტურ მომენტებს, კამათის კულტურის დარღვევას, პიროვნულ დაპირისპირებებს, მაგრამ ვფიქრობთ, დროთა განმავლობაში ამასაც მოევლება.

იმედი გვაქვს, რომ ეროვნული მოძრაობა გამონახავს იმ უმოკლეს და ამასთანავე ზნეობრივ გზას, რომელიც ქართველ ერს დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას მოუტანს.

2. — საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის საკითხი მხოლოდ იმიტომ გამწვავდა, რომ კომკავშირმა, სამწუხაროდ, ჩვეულებისამებრ კვლავ გატეხა სიტყვა (იგულისხმება საქართველოს კომკავშირის უკანასკნელი ყრილობის გადაწყვეტილება) და ცდილობს სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებებით კვლავ გააგრძელოს თავისი საქმიანობა.

ჩვენ ვებრძვით კომკავშირს, როგორც ორგანიზაციას და არა მასში გაერთიანებულ პიროვნებებს.

ერთადერთი რეალური გზა ამ საკითხთან დაკავშირებით არის კომკავშირის ლიკვიდაცია.

3. — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზა არის და მომავალშიც აუცილებლად უნდა იყოს ზნეობრივ პრინციპებზე აგებული. მიგვაჩნია, რომ უზნეო გზით მოპოვებული გამარჯვება დამარცხების ტოლფასია. რასაკვირველია, საერთო ეროვნული ინტერესები მაღლა უნდა იდგეს პარტიათა ინტერესებზე, თუმცა იმასაც მოგახსენებთ, რომ მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის შეხედულებები მთლიანად თანხვდება საერთო ეროვნულ ინტერესებს. სხვა შემთხვევაში ჩვენი პარტიის არსებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა.

### შოთა შაშიაშვილი.

1. — კრიზისი? არავითარ შემთხვევაში. პირიქით, მე ვთვლი, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხარისხობრივად ახალ საფეხურზე ავიდა (ცხადია, რაც უფრო ძლიერდება ეროვნული მოძრაობა, მით უფრო ეცდება მოწინააღმდეგე მხარე სხვადასხვა ხერხებით დაუპირისპირდეს მას), ეს ყველაფერი იყო მოსალოდნელი და კვლავაც უნდა ველოდეთ განხეთქილების მარცვალს ყველა მხრიდან.

ქართველი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა სიბრძნით და თუ შევძლებთ ემოციების დათრგუნვას, შევძლებთ ამ რთული ლაბირინთიდან თავის დაღწევასაც. გასაგებია, უარყოფითი ემოციების ტალღა ძალიან დიდია, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, ეთიკის ნორმებს არ უნდა გავცდეთ ურთიერთობისას, ეს უფრო განამტკიცებს ერთმანეთის ნდობას. ავტორიტეტი სხვისი გინებით და მუშტების ქნევით არ მოიხვეჭება. თუ მართალი ხარ, ხალხი დაინახავს და გამოგყვება, თუ ტყუიხარ, არც ეგ დარჩება შეუმჩნეველი და ჩამოგეცლებიან.

მე არ ვიცი, ზუსტად რა ხდებოდა ფორუმში, მაგრამ რაკი დატოვა ფორუმი თითქმის ნახევარმა მისმა მონაწილემ, ალბათ იყო ამის მიზეზები. მჯერა, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას კარგად აქვს გათვლილი ყველაფერი (ეს არ არის თვალდახუჭული დაჯერება ავტორიტეტისა), მჯერა იმისაც, რომ გაუგებრობას აქვს ადგილი ზოგიერთი პარტიის ლიდერის მხრივ და მალე გაერკვევა სიტუაციაში.

საფუძველს მოკლებულია დაეჭვდე რომელიმე მხარის ღალატში ერის მიმართ. დრო ყველას და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ვფიქრობ, ერის მთელი ინტელექტუალური პოტენციალი უნდა შეიკრიბოს იქ, სადაც არის გული ეროვნული მოძრაობისა, ეს იქნება ფორუმი თუ „მრგვალი მაგიდა“, სახელს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

2. — საქართველოს ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირი არის კომუნისტური პარტიის პირმშო, პარტიული და ადმინისტრაციული თანამდებობებისთვის უმაღლესი დაოსტატების სკოლის ერთი საფეხური.

ალკკ არ არის ეროვნული ინტერესების მატარებელი. მის ისტორიაში ბევრია სისხლიანი ფურცელი. რომელ მოლაპარაკებაზე, რომელ კომპრომისზეა ლაპარაკი? საქართველოს ალკკ უნდა გაუქმდეს. არ მესმის, თუ რომელიმე პარტიას, სახელმწიფო წყობას ან მის ბელადს სჭირდება შეიარაღებული ორგანიზებული დაცვა ხალხისაგან, თანაც 70 წლის მანძილზე, მაშინ მისი დაცვა უფრო სამარცხვინო არ არის, ვიდრე უარყოფა? უარყოფა ხომ შეცდომების აღიარებას ნიშნავს, ეს უკანასკნელი კი ვაჟკაცობაა. რატომ არ იცავთ, ბიჭებო, რევოლუციის ბელადს ან მის თანამებრძოლებს, როდესაც ტელევიზიისა და პრესის საშუალებით ამჟღავნებენ მათ ბნელ დანაშაულებრივ საქმეებს? იმიტომ, რომ, არა გაქვთ დასაცავად ხელმოსაკიდი, ჭეშმარიტი საბუთი. გულახდილნი ვიყოთ, თქვენც კარგად გესმით, ლენინი და კომკავშირი თქვენთვის „შირმაა“. ამ დროშების ქვეშ, სამსახურებში დაწინაურების საფასურად, ახლაც ხართ მზად უერთგულოთ თქვენს ზემდგომ ორგანოებს და მათი დახმარებით დაუპირისპირდეთ ქართველ გოგო-ბიჭებს, ისევე, როგორც წინათ ხდებოდა, თუნდაც სულ ახლო წარსულში — 1989-წლის 18 თებერვალს, მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობასთან ჩატარებული „გმირული ოპერაცია“ გავიხსენოთ. არაფერი იმალება და ხალხს ყველაფერი ახსოვს, მაგრამ სამტროდ არა.

საქართველოს, განთავისუფლებისა და მისი მომავალი კეთილდღეობისათვის, ძალზე ჭირდება გონიერი ახალგაზრდობა და ასეთები თქვენს შორის მრავლად არიან. გონივრული იქნება თავი დაანებოთ ამ არავაჟკაცურ, უაზრო ჭიდილს და ჩადგეთ ეროვნულ მოძრაობაში, ვისთანაც ახლა ოპოზიციაში იმყოფებით. კომკავშირს ბევრი აქვს დანაშაული ერის წინაშე და მისი ლიკვიდაციით უნდა გამოვასწოროთ ეს შეცდომა. [ერი მოგიტევებთ დანაშაულს], უნდა გაითვითცნობიეროთ მთელი შეგნებით თუ ვისი გორისანი ხართ და ვის იდეას ემსახურებით, რომ აღარ განმეორდნენ ორჯონიკიძეები და სხვანი და სხვანი...

საქართველო მამლუქების ქვეყანა კია, მაგრამ როდემდე ვწიროთ თავი სხვათა დიდებას, ვინ დაგვიფასებს?..

3. — მიზანი ამართლებს საშუალებას თუ ის ბუნებრიობიდან ანუ ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარეა და მაშინ, თუ მიზანი ჰუმანურია საერთო-საკაცობრიო თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“.

ქართველი ერის წინაშე დასმულია მიზანი მისი ისტორიულად გადარჩენის შესახებ, რაც არ არის შეურაცხმყოფელი არც დიდი და არც მცირე ერებისათვის. ასევე ჰუმანურად მეჩვენება საშუალება მიზნის რეალიზაციისათვის — მშვიდობიანი ბრძოლის ფორმები.

ეროვნული ინტერესები, რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანისა და მითუმეტეს, ნებისმიერი პარტიის ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს, მაგრამ ვერ ვხედავ ეროვნულ ინტერესებს სკკპ პროგრამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაიჯესტი

უცხოური მასალების მიხედვით

## რადიოსადგური „ამერიკის ხმა"

### ანსამბლ „რუსთავის" შესახებ

რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" ქართული რედაქცია კვლავ დაუბრუნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსთაველის თეატრისა და ანსამბლ „რუსთავის" ამასწინანდელი გასტროლების თემას, როგორც კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას.

როცა ამერიკის ქართული სათვისტომოს წევრებმა და ქართული ხელოვნების სხვა გულშემატკივრებმა შეიტყვეს, რომ ნიუ-იორკში რუსთაველის თეატრის გასტროლები ანსამბლ „რუსთავის" გასტროლებს ემთხვეოდა, — ამბობს კომენტატორი, — ცოტა არ იყოს მათ შიში დაეუფლათ: ვაითუ, ერთის პოპულარობამ მეორე დაჩრდილოსო. მისი თქმით, რუსთაველის თეატრმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, ისევე, როგორც ანსამბლმა „რუსთავმა". მიმომხილველი აღნიშნავს, რომ საერთო აღიარებით, ეს იყო არა მარტო „რუსთავის", არამედ მთელი ქართული ხელოვნების გამარჯვებაც. ანსამბლის ოსტატობამ აღაფრთოვანა არა მარტო მაყურებელი და ეგრეთ წოდებული „ლიბერალი" რეცენზენტები, არამედ „ისეთი მიუდგომელი და დაუნდობელი" კრიტიკოსიც კი, როგორიცაა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი დევის დევილი. მან ანსამბლს ერთ-ერთი საუკეთესო უწოდა, სხვათა შორის, სწორედ მას ეკუთვნის ადრინდელი რეცენზიები ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლზე, აგრეთვე, ნინო ანანიაშვილზე, რომლებიც შეერთებულ შტატებში საგასტროლოდ იმყოფებოდნენ. ყოველივე ამას იგი „რუსთავზე" დაწერილ სტატიაში იხსენებს და დასძენს, ქართული ქორეოგრაფია განსაკუთრებული ფენომენიაო. „რუსთავის" ერთ-ერთ კონცერტს ფოლკლორის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი ალან ლომაქსიც დაესწრებია. „ამერიკის ხმის" კორესპონდენტის თხოვნაზე, რამდენიმე სიტყვა ეთქვა ქართული მსმენელისათვის, მან აღნიშნა: „ქართველები მე მიცნობენ და მეც ვიცნობ მათ, რადგან უკვე ვიმოგზაურე საქართველოში". ანსამბლ „რუსთავს", ლომაქსის თქმით არაჩვეულებრივი შესაძლებლობები აქვს. თითოეული ქართველი მსახ... ბი ცალ-ცალკე და ყველა ერთად მაღალი კლასის შემსრულებელია. მათ სიმღერას სიმფონიური ორკესტრის ჟღერადობა დაჰყვება. მე კარგად ვიცნობ ფოლკლორს და გეტყვით, განაგრძობს ლომაქსი, რომ ამ სიმღერების შემქმნელი ქართველი ერი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ვესტუმრე, ერთ-ერთი საინტერესოა ძველ ერებს შორის, მაგრამ სამწუხაროდ, ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი ერი დღევანდელ სამყაროში.

რაც შეეხება თვით ანსამბლის წევრებს, „ამერიკის ხმის" კომენტატორის თქმით, ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ამერიკელი მაყურებლითა და მსმენელით. კომენტატორი იმოწმებს ანსამბლის წევრების ნათქვამს, რომ მაყურებელთა აუდიტორიის რეაქცია სპეციფიკურ ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაზე ისეთი ზუსტი იყო, რომ მათი თავდაპირველი შიში ამაო გამოდგა. ანსამბლის ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა ინტერვიუში თქვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ, რაც შეიძლება მეტ ქართულ თეატრალურ, მუსიკალურ თუ სხვა კოლექტივებს ეცნობოდნენ უცხოელები. ზოგჯერ, — აღნიშნა მან, — დიდი ენერგია გვჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ რუსეთის ნაწილი არა ვართ. ჩვენ რუსები არა ვართ, წარმოვადგენთ სულ სხვა ერს, სულ სხვა უძველესი კულტურის, დამოუკიდებელი, საკუთარი ტრადიციების მქონე ერს.

### გიორგი ნაკაშიძის შეხვედრა ქართველ ახალგაზრდებთან

ნიუ-იორკში ცხოვრობს საუკუნის ასაკს მიღწეული ქართველი კაცი, რომლისთვისაც 1918 წლის 26 მაისი უბედნიერესი დღეა, ხოლო ყველაზე უბედური — 1921 წლის მარტის დღე, როცა ახალგაზრდა მამულიშვილი, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო. მას შემდეგ პროფესორ გიორგი ნაკაშიძეს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის კეთილშობილური საქმე, ქართული კულტურის საკითხების კვლევა და შესწავლა. ამჟამად პროფესორი გიორგი ნაკაშიძე ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს ყველაზე საპატიო წევრთაგანია. „ამერიკის ხმის" კომენტატორის თქმით ნიუ-იორკში ჩასულ თითქმის ყოველ ქართველს თავის მოვალეობად მიაჩნია ესტუმროს ბატონ გიორგის. როგორც იცით, ახლახანს ჯორჯიის შტატმა უმასპინძლა 250-მდე ქართველს, რომლებიც ამერიკაში მიიწვია ორგანიზაცია „ფრენდშიპ ფორსმა". ქართველებიდან რამდენიმე კაცი ნიუ-იორკსაც იწვია და, ცხადია, ბატონი გიორგიც მოინახულა. მათ შორის იყვნენ საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის ხელმძღვანელი ირაკლი შენგელაია, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ირაკლი კაკაბაძე და ამავე პარტიის წევრი გიორგი კალანდაძე, მათთან ერთად გიორგი ნაკაშიძის ბინაში შეიკრიბნენ ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები.

ირაკლი შენგელაიას თქმით, იგი პირველად შეხვდა ქართულ ემიგრაციას. ეს არის მარად დასამახსოვრებელი, უცნაური და სასიხარულო ფაქტი ჩემს ცხოვრებაში, აღნიშნა მან. ირაკლი კაკაბაძემ კი ქართულ სათვისტომოს გადასცა საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მცირე საჩუქარი — სააღდგომო ბარათები კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხელმოწერით, აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა. გიორგი კალანდაძემ ქართველ ემიგრანტებს უთხრა, რომ იგი ბედნიერია, რადგან მათთან ერთად ხედავს ბატონ გიორგი ნაკაშიძეს, ადამიანს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა დამოუკიდებელი საქართველოსათვის და ჩვენც ისევე უნდა ვიბრძოლოთ, როგორც ბატონი გიორგი იბრძოდაო. მე მინდა ყველას დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რაც გააკეთეთ და რისთვისაც აქ იღწვით. თქვენ დიდად ეხმარებით ქართველ ერს. დიდი მადლობა ყველაფრისათვის, — დასძინა მან.

ამაღელვებელი იყო ის მომენტი, როდესაც სამშობლოწართმეული; თვალცრემლიანი მოხუცები გულში იკრავდნენ საქართველოდან ჩამოსულ ახალგაზრდებს და ამბობდნენ: ეს რა დიდებული ახალგაზრდა თაობა გვყოლია! ბოლოს სიტყვა წარმოთქვა თვით ბატონმა გიორგი ნაკაშიძემ. „მე ვფიქრობ, დღევანდელი საღამო კიდევ ერთხელ ადასტურებს: სადაც არ უნდა იყოს ქართველი, მისი გული მხოლოდ სამშობლოსათვის ძგერს. — თქვა მან. ქართველთა გრძნობა, ოცნება, სიყვარული ერთია ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. ეს არის სამშობლოს სიყვარული, რომელსაც ღრმად აქვს თესლები ჩადგმული თითოეულ ჩვენთაგანში და რომლის წაშლა შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი გულითადი საღამო, ასე ერთად გატარებული, ასე ლამაზად განხორციელებული, არის სწორედ დამამტკიცებელი იმისა, რომ საქართველოში, მცხოვრები და უცხოეთში მყოფი ქართველების გრძნობა და ფიქრი მხოლოდ სამშობლოს დასტრიალებს თავს და ჩვენი გულები მხოლოდ საქართველოსათვის ძგერს. საქართველო — ეს ჩვენი კოჰწია, უკვდავი საქართველო, იყო, არის და იქნება მარად მზიანი, მარად უკვდავი, ვინაიდან მას ასეთი შვილები ჰყავს, — დასძინა გიორგი ნაკაშიძემ.

### მსოფლიო რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის თვალით

ერთ-ერთმა დასავლელმა სოვეტოლოგმა რომელიც ათეული წლების მანძილზე იკვლევდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სტრუქტურებს, მაგრამ ამ ქვეყანაში ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრამდე პრაქტიკულად არასოდეს არ იყო ნამყოფი, თავისი პირველივე ვიზიტის შემდეგ აღნიშნა: საბჭოთა ადამიანები წინათ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, თუ რას ფიქრობდნენ მათზე უცხოელები. ახლა მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობენ თვით ისინი საკუთარ თავზე და ერთმანეთზე. შესაძლოა ეს აზრი ყველამ არ გაიზიაროს მაგრამ ერთი კია: საზოგადოების ერთი ნაწილი გაცილებით სალად, რეალისტურად, ღირსების გრძნობით აღიქვამს უცხოელთა აზრს — ითვალისწინებს, მაგრამ მონურ მორჩილებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს უფრო ფსიქოლოგიური და პოლიტიკური კომპლექსებისაგან თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, ზოგჯერ ძალზე კრიტიკულად განწყობილი პარტნიორების ურთიერთობაა. ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, თუ როგორ აღიქვამს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დღევანდელ მოსკოვს — ისეთივე წინააღმდეგობრივს, როგორიცაა, საზოგადოდ, ქვეყნის ცხოვრება.

მოსკოვში ადრე ნამყოფ დასავლელ ტურისტს, — წერს სააგენტოს მიმომხილველი, — დღეს ბევრი სიახლე გააკვირვებს: პორნოგრაფიის გამყიდველები, როკ-მუსიკა, რეკლამა, ტრანსპორტის პრობლემები, ხის მატრიოშკები გორბაჩოვის გამოსახულებით. ამიერიდან ყველაზე მოხერხებული ტრანსპორტია არა მეტრო, არამედ ტაქსი. შეგიძლიათ ნებისმიერი მანქანის გაჩერება და მძღოლთან მოლაპარაკება. ავტომობილის თითოეული მფლობელი თავისუფალ დროს თავისი ბიუჯეტის გაზრდისათვის იყენებს — ავტოინსპექციაც ამას არავითარ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. სამოცდაათიანი წლების შუაგულში კი ეს დანაშაულადაც კი ითვლებოდა. დიახ, ბევრი რამ შეიცვალა ხელისუფლების სათავეში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ.

შემდეგ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სამოცდაათიან წლებში დასავლელ ტურისტს შერემეტიევოს აეროპორტიდანვე ატყდებოდა თავს ეგრეთ წოდებული „მშვიდობიანი პროპაგანდის" სეტყვა. რადიო, ტელევიზია და გაზეთები სავსე იყო პროპაგანდისტული მასალებით, თუ როგორ ეხმარებოდა საერთაშორისო მშვიდობის საქმეს განიარაღების საბჭოური პოლიტიკა, ხოლო დასავლეთი როგორ ისწრაფოდა მსოფლიო ბატონობისაკენ, ყველგან ნახავდით უზარმაზარ სარეკლამო სტენდებს, რომლებსაც მნახველი უნდა დაერწმუნებინა საბჭოთა მთავრობის დიდ სამშვიდობო მისიაში. დღეს ამ სტენდებს პრაქტიკულად ვერ ნახავთ. გაქრა დედამიწაზე კომუნიზმის უეჭველი გამარჯვებისა და სოციალისტური სისტემის უპირატესობის ამსახველი და მაუწყებელი ლოზუნგები. ერთი შეხედვით, ცოტა რამ მიგვანიშნებს ხელისუფლების სათავეში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ მომხდარ დიდ პოლიტიკურ ძვრებზე, თუ არ ჩავთვლით ლოზუნგების გაქრობას და პეპსი-კოლას რეკლამის მომრავლებას, — განაგრძობს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, მაგრამ ამგვარ აზრს ელევი პუშკინის სახელობის თეატრში დოსტოევსკის რომანის „ეშმაკნი" მიხედვით დადგმული სპექტაკლის ნახვის შემდეგ, სადაც მე-19 საუკუნის რევოლუციონერებზე სასტიკი თავდასხმებია; ანდა ჟურნალებში სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგის" წაკითხვის შემდეგ; ანდა არბატზე გასეირნების შემდეგ, სადაც ქუჩის მსახიობები აშკარად ქილიკობენ საკვების დეფიციტსა და გ... ბაჩოვის რეფორმებზე, ანდა ... კაც თვით საბჭოთა ხელმძღვანელზე. ადრე თეატრალურ დადგმებსა და პუბლიკაციებს, — აღნიშნავს კორესპონდენტი, — სახელმწიფო აკონტროლებდა, ხოლო ცენზორები უმოწყალოდ კრძალავდნენ კომუნისტური სისტემისა და ხელმძღვანელობის ნებისმიერ კრიტიკას. კერძო ინიციატივა მხოლოდ ადგილობრივ ბაზრებზე ეგრეთ წოდებული ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით იფარგლებოდა. კერძო კოოპერატივების კონკურენციამ მოსკოვის რესტორნებიც კი ნაწილობრივ შეცვალა! ახლა ზოგჯერ მთაქვთ გემრიელი საჭმელი, ზოგჯერ სწრაფადაც მოგემსახურებიან, ხოლო ოფიციანტები, ჰოი, საოცრებავ, ზოგჯერ კლიენტებს უღიმიან ხოლმე...

კორესპონდენტი თავის წერილს ასე ამთავრებს: „მოსკოვში მხოლოდ ერთი რამ დარჩა უცვლელი: ტურისტები კვლავინდებურად დგანან წითელ მოედანზე ლენინის მავზოლეუმთან გრძელ რიგში". კორესპონდენტის ამ ირონიულ ნათქვამს დავუმატებდით, რომ, სამწუხაროდ, ბევრი სტერეოტიპი დარჩა კიდევ უცვლელი, რომლებსაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, დრო მოარღვევს.




### ლიტვის ვიცე-პრემიერები ეკონომიკური ბლოკადის შესახებ

ლიტვის პრესისათვის მოცემულ ინტერვიუში მთავრობის მეთაურის მოადგილემ ალგირდას ბრაზაუსკასმა განაცხადა, რომ ლიტვას მხოლოდ 15-20 მაისამდეღა აქვს ნავთობის მარაგი. „ჩვენ არ შეგვიძლია არსებობა ნავთობის გარეშე", — აღნიშნა ბრაზაუსკასმა. ეკონომისტების აზრით, ნავთობის მძაფრი დეფიციტი განსაკუთრებით დააზარალებს სოფლის მეურნეობას. თუ ამ პრობლემას დაუყოვნებლივ არ მოევლო, ბრაზაუსკასის თქმით, „ამას შესაძლოა კატასტროფული შედეგები მოჰყვეს". ბრაზაუსკასს განზრახული აქვს ეწვიოს ბელორუსიას და მის ხელმძღვანელებთან განიხილოს ნავთობის შესყიდვის საკითხი.

ამასობაში ლიტვის სხვა ვიცე-პრემიერმა რომუალდას ოზოლასმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ეკონომიკური ბლოკადის გაუქმების შემდეგ, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ბლოკადის ინიციატორებს ლიტვის რესპუბლიკის საპატიო ორდენით დავაჯილდოვებდი". აი, როგორ ახსნა მან ეს პარადოქსული აზრი. მისი თქმით, ბლოკადამ დიდი ზიანი მოუტანა ლიტვას; მაგრამ მანვე, როგორც უდიდესი განსაცდელის დროს ხდება ხოლმე, არაჩვეულებრივად დარაზმა და გააერთიანა ლიტველი ერი. არავინ, მათ შორის ლიტველებმაც კი, — აღნიშნა მან, არ უწყოდნენ თუ რა მძლავრად იყო მოკალათებული ჩვენს მიწა-წყალზე ის, რასაც „საბჭოურს" ვუწოდებთ. ეკონომიკურმა ბლოკადამ და სამხედრო აქციებმა, დასძინა ოზოლასმა — ძალზე კონკრეტულად დაგვანახა: ლიტვაში არსებული რკინიგზა ჩვენი არ ყოფილა, შენობები, რომლებიც ჩვენი აშენებულია, თურმე ასევე არ გვეკუთვნის ლიტველებს, კლაიპედას ნავსადგურიც კი თითქოს-და ჩვენი არ უნდა იყოს. ადამიანები თვალნათლივ ხედავენ, — დასძინა ოზოლასმა, — თუ რას ნიშნავს „საბჭოური", ამ სიტყვის უაღრესად კონკრეტული გაგებით. მისი თქმით, მოსკოვი ამას ვერ ხვდება ან არ უნდა რომ მიხვდეს. ინტერვიუს დასასრულს ოზოლასმა გამოთქვა იმედი, რომ მოლაპარაკება ვილნიუსსა და მოსკოვს შორის მაინც დაიწყება. ამის იმედს იძლევა აპრილის დამლევს ლიტვის დელეგაციის შეხვედრა მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ალექსანდრ იაკოვლევთან. ჩვენ კიდევ ჩამოვალთ. — უთხრეს მას დელეგაციის წევრებმა დამშვიდობებისას. ნუ იჩქარებთ კარგად მოიფიქრეთ,—უპასუხა მათ იაკოვლევმა. მას არ უთქვამს ნუ ჩამოხვალთო,—აღნიშნა ოზოლასმა, — ვფიქრობ, ახლა დადგა განმეორებითი ვიზიტის დრო.

### „კომერსანტის" სენსაციური ცნობა

ალექსანდრ იაკოვლევის სახელი ნახსენებია საბჭოთა კავშირის კოოპერატორთა გაერთიანების ყოველკვირეულის „კომერსანტის" მეთექვსმეტე ნომერში გამოქვეყნებულ დამოუკიდებელი სააგენტოს „პოსტფაქტუმის" ამ ინფორმაციაში. არაოფიციალური წყაროების მიხედვით, ედუარდ შევარდნაძე შესაძლოა, საკავშირო კომპარტიის

(დასასრული მე-8 გვ.).

# დაიჯესტი

(დასასრული)

XXVIII ყრილობამდე დატოვოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი და დაიკავოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეროვნებათა შორის ურთიერთობის განყოფილების გამგის თანამდებობა. არაოფიციალური ცნობებით, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა განიხილება საგანგებო ელჩის სტატუსის მქონე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის ვალენტინ ფალინის, ასევე საგანგებო ელჩის სტატუსის მქონე, საპრეზიდენტო საბჭოს წევრის, აკადემიკოს ევგენი პრიმაკოვის, პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ალექსანდრე იაკოვლევის კანდიდატურები, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საკავშირო საგარეო-საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაში ამასწინანდელი გადაადგილებების შემდეგ შესაძლოა, მინისტრად დაინიშნოს დასავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყოფილი ელჩი.

### როდის ჩამოვა საქართველოში XIV ბაგრატიონი?

კომერსანტის" ამავე ნომერშია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველი რამდენიმე ცნობა, მათ შორის ინფორმაცია 25 აპრილს თბილისში გამართული მონარქისტულ-კონსტიტუციური პარტიის შვიდიათასიანი მიტინგის შესახებ, სადაც მონარქისტული პარტიის, სახალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოების ლიდერებმა, ყოველკვირეულის თქმით, განაცხადეს, რომ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ესპანეთში მცხოვრებ ქართული სამეფო ტახტის მემკვიდრესთან გიორგი XIV ბაგრატიონთან. ვარაუდით, იგი საქართველოში ჩამოვა ივლისში.

### ელცინის პირველი წიგნი საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირში პირველმა „გაბედა" ბორის ელცინის წიგნის „აღსარება მოცემულ თემაზე" გამოცემა ურალის ერთ-ერთმა გამომცემლობამ. სხვათა შორის ეს წიგნი უკვე თარგმნილი და გამოცემულია მსოფლიოს ათამდე ქვეყანაში. ელცინისა და გამომცემლობის დირექტორის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად წიგნის ტირაჟი ასი ათასი ეგზემპლარი იქნება. იგი გამოქვეყნდება, აგრეთვე, ჟურნალ „ურალის" ერთ-ერთ ნომერში. ამ წიგნში ელცინი საუბრობს ურალსა და მოსკოვში თავისი მუშაობის წლებზე, გამოთქვამს აზრს ქვეყნის ამჟამინდელ პოლიტიკურ სიტუაციაზე, იდეებისა და პიროვნებების ბრძოლაზე. წიგნის ჰონორარი მთლიანად მოხმარდება შიდსის საწინააღმდეგო კამპანიას. სიტყვამ მოიტანა და ამავე მიზნით გადარიცხა ელცინმა საზღვარგარეთის გამომცემლობისაგან მიღებული თავისი წიგნის ჰონორარებიც.

### კოსმონავტების შეხვედრა „მფრინავ თეფშთან"

უდიდესი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში გამოფენამ „უცნობი მფრინავი ობიექტები და კოსმოსის ბინადარნი: ჰიპოთეზები, ვარაუდი."

ჟურნალისტთა აზრით, ეს ინტერესი განაპირობა მოულოდნელმა ფაქტმა, რომელიც საუცხოო რეკლამად იქცა. ამჟამად კოსმოსურ ორბიტაზე მყოფმა კოსმონავტებმა ანატოლი სოლოვიოვმა და ალექსანდრ ბალანდინმა რადიოთი გადაცემულ რეპორტაჟში ახსნეს თავიანთი შეხვედრა უცნობ მფრინავ ობიექტთან.

**საგაზეთო ფართის უქონლობის მიზეზით წერილი იბეჭდება დაგვიანებით**

## მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

# ირლანდია

**როცა** თანამედროვეობის საუკეთესო მწვრთნელებზეა საუბარი, ერთ-ერთ პირველ ადგილს უყოყმანოდ ჯეკი ჩარლტონს აკუთვნებენ. 60-იან წლებში განთქმულმა ინგლისელმა ოსტატმა, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, შემდეგში უაღრესად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც მწვრთნელმა.

1986 წელს ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების ახალი მწვრთნელი უნდა დაენიშნა. ასახელებდნენ ცნობილ ირლანდიელ ოსტატ ჯონი ჯაილსს, „ლივერპულის" ყოფილ მწვრთნელ ბობ პეისლის. მაგრამ ფედერაციამ ჯეკი ჩარლტონი აირჩია და აკი არც მოტყუვდა.

ფეხბურთელების რაოდენობით, რეზერვებით და საერთო პირობებით თუ ვიმსჯელებთ, ირლანდია დიდ ევროპულ ქვეყნებთან რა შესადარებელია! ამ პატარა სამმილიონნახევრიან ქვეყანას 3510 კლუბი ჰყავს, 63 ათასი აღრიცხული ფეხბურთელი, აქედან ასამდე პროფესიონალი. ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია („ფუტბოლ ასოშიეიშნ ოფ ირლენდ") 1921 წელს დაარსდა, 1923 წელს ფიფაში შევიდა, 1954 წელს უეფას წევრი გახდა. აქამდე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ გასულა, რაიმე წარმატება არც ევროპის პირველობაზე და არც ოლიმპიურ თამაშებში არა ჰქონია.

და აი, დადგა 1988 წელი. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა უკვე იმ ფაქტმა, რომ ირლანდიელები ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვდნენ. ესეც არაფერი — ფინალში ირლანდიელებმა სენსაციური გამარჯვება (1:0) იზეიმეს „უფროს ძმებთან" — ინგლისელებთან. ფრედ (1:1) ითამაშეს მომავალ ვიცე-ჩემპიონებთან — საბჭოთა ფეხბურთელებთან და მეტად შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ წააგეს (0:1) ჩემპიონებთან — ჰოლანდიელებთან. ამასთან ეს ერთადერთი გოლი 82-ე წუთზე გაიტანეს. ირლანდიურმა პრესამ ჯეკი ჩარლტონს „გმირი" უწოდა. იგი „მწვანე კუნძულზე" ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარული პიროვნება გახდა.

მსოფლიო პირველობის VI შესარჩევ ჯგუფში ირლანდიის ნაკრები 12 ქულით (ბურთები 10-2) მეორე ადგილზე გამოვიდა, მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა ესპანელებს და ისტორიაში პირველად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ახლა ფინალში მონაწილეობისათვის მზადების საკითხი დადგა. ჯეკი ჩარლტონი მიიჩნევს, რომ წილისყრა მისთვის უიღბლო იყო (ჯგუფში მოხვდნენ ჰოლანდიელები, ინგლისელები, ეგვიპტელები).

მწვრთნელი არ აპირებს იმ გუნდის მნიშვნელოვანად შეცვლას, რომელიც ორი წლის წინ ევროპის პირველობაზე გამოდიოდა. კარს იცავს 29 წლის ბონერი (გლაზგოს „სელტიკი"), რომელიც შესარჩევი ტურნირის 8 მატჩიდან შვიდში მონაწილეობდა. დაცვაში აუცილებლად ითამაშებს სამი ვეტერანი: მორანი (33 წლის, ამჟამად ესპანეთში, ხიხონის „სპორტინგში" გამოდის), ჰოუტონი (32 წლის „ლივერპული") და ო ლირი (31 წლის, „არსენალი"). ეს სამი ფეხბურთელი უკვე მრავალი წელია ნაკრებში გამოდის, ერთმანეთისა ჩინებულად ესმით. ასევე გამოცდილია მორისი (26, „სელტიკი") და მაკგრაფი (30, „ასტონ ვილა"). მათთან ერთად ჩემპიონატისათვის ემზადება 21 წლის მცველი სტაუნტონი („ლივერპული"), რომელიც უკვე მონაწილეობდა 6 შესარჩევ მატჩში.

თუ დაცვა სავსებით სტაბილიზებულია, უფრო რთული მდგომარეობაა შუა ხაზზე. აქ რამდენიმე წლის მანძილზე წამყვანად ითვლებოდა გამოჩენილი ოსტატი ლაიამ ბრეიდი. შუა ხაზზე უეჭველად ითვლება 28 წლის ველანის („ლივერპული") კანდიდატურა, იგი მთელ მინდორზე ეფექტურად თამაშობს, მაგრამ განსაკუთრებით კარგად მოქმედებს შეტევაში ჩართვისას. შედარებით ახალია ნაკრებში 26 წლის ნახევარმცველი თაუნსენდი („ნორვიჩ სიტი"), ჩარლტონის აზრით დიდად პერსპექტიული ფეხბურთელი. სხვა კანდიდატებია — დიდად გამოცდილი შიდი (30 წლის, „ევერტონი"), ჰოუტონი (28 წლის, „ლივერპული"), გალვინი (33, „შვინდონ თაუნი").

ვინ გამოვა თავდასხმაში? ყველა შესარჩევ მატჩში მონაწილეობდა ტიპიური ინგლისური ყაიდის, ტანმაღალი და ძალისმიერი სტილის მოთამაშე კასკარინო (28 წლის, „მილუოლი"). იგი ორი წლის წინ მიიწვიეს ნაკრებში, ევროპის პირველობაზე სათადარიგო მოთამაშედ ითვლებოდა და მინდორზე ხანდახან მეორე ტაიმში გამოდიოდა. ახლა კასკარინო № 1 თავდამსხმელად ითვლება. ვინ იქნება მისი პარტნიორი? იგი ორ შესარჩევ მატჩში მონაწილეობდა 23 წლის კუინი („არსენალი") შესაძლებელია ვიხილოთ აგრეთვე ორი ვეტერანიც: ოლდრიჯი (31 წლის, „ლივერპულიდან" ესპანეთის „სან-სებასტიანში" გადავიდა) და სტეპლტონი (33 წლის, „ბლეკბერნი"). ჩარლტონი მიიჩნევს, რომ სტეპლტონმა, რომელიც ადრე დიდი შედეგიანობით გამოირჩეოდა, ახლა ასაკის გამო სისწრაფე დაკარგა და საერთოდ უარესად გამოიყურება. ახლა ოლდრიჯი უკეთეს ფორმაშია.

როგორც ჩარლტონი მიიჩნევს, მის გუნდს კარგი პერსპექტივები აქვს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ხანგრძლივი ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელები დაქანცული იქნებიან.

**ბიძი ბამრეკელი**

# იტალია-90



# სპორტპროგნოზი

# სამი პენალტი ერთ მატჩში...

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან სამტრედიის „სანავარდო" „უცნაურობებით" გამოირჩევა. ძლიერ მეტოქეებთან ბრწყინვალედ მოგებულ შეხვედრებს ხშირად მოჰყვება ხოლმე ძალზედ უნიათო და უინტერესო მატჩები შესაბამისად მასზე დაბალი კლასის გუნდებთან...

ალბათ, ყველას გვახსოვს V ტურის მატჩი, როდესაც სამტრედიის „სანავარდო" ხობის „კოლხეთს" ხვდებოდა. თამაშის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა ერთი ნაწილი მინდორზე გადავიდა და... გუნდს შემდეგი სამი თამაშის ჩატარება მშობლიური კედლების ნაცვლად რუსთავსა და თბილისში მოუხდა (რომ აღარაფერი ვთქვათ ფულად ჯარიმაზე — 10000 მანეთზე). და აი, ამ სამ შეხვედრაში მათ 7 ქულა აიღეს, თანაც დამარცხებები ისეთ ძლიერ და ავტორიტეტულ გუნდებს მიაყენეს, როგორებიც ლანჩხუთის „გურია" და ქუთაისის „ქუთაისია".

დიახ, განვლილ ტურში „სანავარდო" თბილისის ეროვნულ სტადიონზე „მასპინძლობდა" ლანჩხუთის „გურიას".

...თამაში ლანჩხუთელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ პირველივე კონტრშეტევა „სანავარდოს" მხრიდან იმით დამთავრდა, რომ მათი ყველაზე სახიფათო ფორვარდი ირაკლი გოგაძე პირისპირ დარჩა მეტოქის მეკარესთან, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ აკრძალული ხერხით შეეჩერებინა იგი თავის საჯარიმოში. სამტრედიელთა გამოცდილმა ცენტრალურმა მცველმა ნოდარ ჰელიძემ თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა და თავისი გუნდი დააწინაურა. გაშვებული გოლის შემდეგ ლანჩხუთელები ძალზედ გააქტიურდნენ და თავიანთი შეტევები ძირითადად ფლანგებიდან წარმართეს, სადაც მათი განაპირა მცველები აქტიურობდნენ ყველაზე მეტად — ბადრი ლანელია და გია ჩხაიძე. წინა ხაზზე კი მათ ორი გამოკვეთილი ფორვარდი ჰყავდათ — ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები გიორგი ხურცილავა და კახაბერ კვინტრაძე. თუმცა, ორი ტაიმის განმავლობაში „სანავარდოს" ცენტრალურმა მცველებმა ნოდარ ჰელიძემ და გიორგი ვაშაკიძემ მათ არანაირი შანსი არ დაუტოვეს თავის გამოჩენისა. მთელი პირველი ტაიმი ლანჩხუთელთა სრული ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ რეალური საფრთხე მეტოქის კართან არა და არ იქმნებოდა. „სანავარდოს" ფეხბურთელები კი, თავის მხრივ მეტად მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ და მათმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ირაკლი გოგაძემ თავისი ხშირი მანევრირებით ბევრი თავსატეხი გაუჩინა „გურიის" დაცვას. აქვე არ შეიძლება არ გამოვყოთ „სანავარდოს" შემადგენლობაში კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც მთელი მატჩის განმავლობაში მეტად შრომატევადი სამუშაო შეასრულა და თავის გუნდის საბოლოო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. დიახ, „სანავარდოს" გუნდის კაპიტანი, 33 წლის გივი ბაბუნიძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, მაგრამ ერთ მომენტში ნამდვილად არ მოიქცა ისე, როგორც კაპიტანს შეეფერება. ეს მოხდა პირველი ტაიმის მიწურულს, როცა „გურიის" ფეხბურთელთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიურის ბესიკ ფრიდონაშვილის წინააღმდეგ უხეში თამაშისათვის დანიშნულ თერთმეტმეტრიან დარტყმას „წინ აღუდგა" მთელი მოწინააღმდეგე გუნდი და პირველ რიგში მისი კაპიტანი... მაგრამ მსაჯმა გადაწყვეტილება არ შეცვალა, თუმცა ოთარ კორღალიძის მიერ ოსტატურად შესრულებული პენალტი ძელს მოხვდა და გუნდები შესვენებაზე იმავე ანგარიშით წავიდნენ.

მეორე ტაიმიც პირველის ანალოგიურად დაიწყო და უკვე სულ მალე „სანავარდოს" კარში მეორე (ამ მატჩში კი მესამე!) პენალტი ინიშნება და კვლავ ბესიკ ფრიდონაშვილის წინააღმდეგ არასწორი თამაშისათვის. ამჯერად დარტყმა ლევან ბარათაშვილს მიანდეს, მაგრამ „სანავარდოს" მეკარემ ივანე თოდაძემ ბრწყინვალე ნახტომით მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნილი ბურთი კუთხურზე მოიგერია... არ შევცდებით და ვიტყვით, რომ ამან „სანავარდოს" ფეხბურთელებს უფრო მეტი ენერგია შემატა და მათი მწვავე კონტრიერიშები უფრო და უფრო კანონზომიერი ხდებოდა. ზაზა დადუნაშვილს და ირაკლი გოგიძეს რამდენიმეჯერ გოლის გატანის რეალური შანსიც ჰქონდათ და რომ არა ლანჩხუთელთა გუნდის უკანა ცენტრალური მცველის დავით ცომაიას მეტად თავგანწირული თამაში, შეიძლებოდა ანგარიში ბევრჯერ შეცვლილიყო. დასამახსოვრებელი იყო აგრეთვე „სანავარდოს" მარჯვენა მცველის დავით თვალაბეიშვილის ორი უძლიერესი დარტყმა, რომლებიც მან საჯარიმოებიდან შეასრულა და ორივეჯერ სულ მცირედი დააკლდა მიზანში მოსახვედრად. მთლიანობაში კი „სანავარდომ" ძალზედ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მაყურებელმაც შეხვედრის შემდეგ ტაშით გააცილა გამარჯვებული გუნდი.

**გია ტუხაშვილი**

**რედაქტორი**
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.
უე 00283